ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 93 (18635) ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 21 Ა�პᲠᲘᲚᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲝᲗᲐ! ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲐᲡᲬᲘᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲜᲓᲕᲘᲗ 1983 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ, XI ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲯᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲯᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ!

ᲓᲐᲔ, ᲣᲤᲠᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ, ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲔᲠᲝᲒᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲛᲚᲝᲗ!

ᲡᲙᲙᲯ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲯᲘᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲛᲝᲒᲒᲕᲘᲬᲝᲓᲔᲑᲡ

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲡᲝᲘᲣᲖ Ტ-8“

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲓᲘᲓᲔᲕ რამდენიმე დღე და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა კუთხეში აფრიალდება გაზაფხულის, მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის ზეიმის — პირველი მაისის წითელი ალმები. ხალისიანი, ამაღლებული განწყობილებით ეგებებიან მას ქალაქისა და სოფლის მშრომელები. ისინი სამართლიანად ამაყობენ საბჭოეთის წარმატებებით. ჩვენს ხალხს კარგად ესმის, რომ თავისი კეთილსინდისიერი მუშაობით კიდევ უფრო განამტკიცებს ქვეყნის ძლიერებას, ხელს შეუწყობს მის შემდგომ წინსვლას.

სწორედ გაზაფხულის დღესასწაულისათვის ამ ენერგიული მზადების დღეებში, როცა მთელი საბჭოეთის, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის შრომითი კოლექტივები, თითოეული მშრომელი საპირველმაისო შრომითს ვახტზე დგანან, როცა სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების გადაწყვეტილებათა, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად თავიანთი ცოდნისა და ენერგიის უშურველად ირჯებიან, მთელი ძალით გაისმა მათდამი, ყველა საბჭოთა ადამიანისადმი მიმართული ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მგზნებარე მოწოდებათა ხმა:

— ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲝ! ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲐᲡᲬᲘᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲜᲓᲕᲘᲗ 1983 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ, ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲯᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲯᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ მუდამ პროლეტარული და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულია. სწორედ ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებათა პირველივე სტრიქონები მიმართულია მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიებისადმი, სოციალიზმის ბანაკის მშრომელებისადმი, ყველა იმისადმი, ვინც იბრძვის დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და თავისუფლება.

— ᲫᲕᲣᲠᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲫᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘ! ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲫᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ, ᲓᲐᲜᲐᲛᲔᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐᲡ, ᲗᲐᲗᲘᲡ ᲣᲠᲧᲕᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲔᲪᲘᲜᲔᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲪᲘᲗᲕᲐᲜ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲐᲛᲝᲠᲔᲑᲘ, ᲫᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲡ!

დიახ, მშვიდობა და თავისუფლება ხალხთა სანუკვარი მიზანია. სკკპ ცენტრალური კომიტეტი მთელი პლანეტის ხალხს მოუწოდებს, რომ საკადრისი პასუხი გასცენ იმპერიალიზმის, მილიტარიზმისა და რევანშიზმის აგრესიულ ხრიკებს, რომ ალაგმონ გამაღებული შეიარაღება, აღმოფხვრან ომის საფრთხე.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ მშვიდობა და შრომა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია. „ეკონომიკის განუხრელი აღმავლობა, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე, — ეს არის ჩვენი მოვალეობა საბჭოთა ადამიანების წინაშეც, და ჩვენი ინტერნაციონალური მოვალეობაც“. სწორედ ამ მოვალეობის, ამ შეგნების ერთ-ერთი ნათელი გამოხატულება იყო 16 აპრილს მოწყობილი სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური შაბათობაც.

ჩვენი ქვეყნის საერთო მიღწევებში მეტად თვალსაჩინოა საბჭოთა საქართველოს, მისი მშრომელების წვლილი. მათი შრომითი გამარჯვებების პატაკები დაუსრულებლად გაისმის ამ პირველი მაისის დღესასწაულის წინა დღეებშიც. რესპუბლიკის სამრეწველო კოლექტივები სულ უფრო სწრაფად ითვისებენ და ეფექტიანად იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, ნერგავენ ახალ ტექნიკას, აფართოებენ ფართო მოხმარების საქონლის ასორტიმენტს, აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს.

ხუთწლედის შუაგული წლის შუა გაზაფხულზე, დაძაბული დღეები აქვთ ჩვენს მხვნელ-მთესველებს, მეჩაიეებსა თუ მევენახეებს, მეცხოველეობის ფერმის მუშაკებს. ისინი ვაჟკაცურად სძლევენ უამინდობით გამოწვეულ სიძნელეებს, მრეწველობისა და სხვა დარგების მშრომელებთან ერთად ეძებენ დამატებითს რეზერვებს, რათა გაამართლონ თავიანთი პატრიოტული სიტყვა, პირნათლად შეასრულონ ნაკისრი დიდი და გაბედული სოციალისტური ვალდებულებანი.

ყოველდღიურად სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ინიციატივები და თაოსნობანი, რომელთა მიზანია მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება, სოციალისტური კანონიერების დაცვა, ორგანიზებულობა და დისციპლინის განმტკიცება. სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოგვიწოდებს:

— ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲝ! ᲨᲔᲫᲛᲔᲜᲘᲗ ᲗᲘᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲫᲔᲓᲔᲑᲘᲡ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲠᲘᲗ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲛᲔᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲘᲗᲐᲠᲘ!

ᲒᲐᲜᲐᲛᲐᲢᲙᲘᲪᲔᲗ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ, ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲪᲘ�პᲚᲘᲜᲐᲡ!

ჩვენი პარტია ერთ-ერთ მთავარ ამოცანად აყენებს, რომ ჩვენი ეკონომიკა ეკონომიური იყოს, რომ თითეული შრომელი აქტიურად ჩაებას მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში.

არ არსებობს ისეთი დარგი, უბანი, არ არის ადამიანი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებში ვერ პოულობდეს თავის კონკრეტულ ამოცანას, საზრუნავსა და გასაკეთებელს. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მუშაკებს ვეალებათ გაადიდონ ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის მოპოვება, ელექტროენერგიის წარმოება; მეტალურგებს — ლითონზე ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; მანქანათმშენებლებს — ახალი დიდმწარმოებლური და ეკონომიური მანქანა-ხელსაწყოების შექმნა და სხვ. თავიანთი პასუხსაგები ამოცანები უნდა გადაწყვიტონ მრეწველობის, კერძოდ, ქიმიური მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების მუშაკებმა, მშენებლებმა და მემონტაჟეებმა.

სასურსათო პროგრამის — საყოველთაო-სახალხო საქმის — განხორციელებაში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა. მათ ყაირათიანად, ეფექტიანად უნდა გამოიყენონ მინა, ტექნიკა, სასუქები, შრომითი და ფინანსური რესურსები.

მონოდებათა სიტყვები მიმართულია ჩვენი მეცნიერებისადმი, ლიტერატურისა და ხელოვნების, კულტურის მოღვაწეებისადმი, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისადმი, ფიზიკულტურელებისა და სპორტსმენებისადმი, პროფკავშირისა და კომკავშირისადმი, სახალხო დეპუტატთა საბჭოებისადმი, ჭაბუკებისა და ქალიშვილებისადმი, რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებისადმი, საბჭოთა ქალებისადმი, სახელოვანი საბჭოთა არმიის მეომრებისადმი...

დაე, უფრო ძლიერი, მდიდარი და ლამაზი გახდეს ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლო! — აი ყველა ამ მოწოდების მიზანი და შინაარსი.

ნათელი მომავლისათვის, კომუნიზმისათვის გაჩაღებული ბრძოლის, საყოველთაო-სახალხო შემართებული შრომის მოწინავე ხაზზე კი მუდამ იდგნენ და დგანან ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, ჩვენი კომუნისტები.

ახლახან თბილისში მუშაობა დაამთავრა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომელიც პირველად ამ პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტისა და ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლების საკითხებს მიეძღვნა. ეს ფაქტი კიდევ ერთი საუკეთესო დასტურია იმისა, თუ როგორ იღვწის ჩვენი პარტია თავისი ძირეული ორანაბის კიდევ უფრო გააქტიურებისათვის, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე ნარმატებათა მისაღწევად პარტიული გავლენის გაძლიერებისათვის.

— ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ! ᲘᲣᲐᲕᲘᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ, ᲡᲙᲙᲯ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲐᲕᲐᲜ�გᲐᲠᲓᲖᲔ!

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ნათელი ოპტიმიზმით, შემოქმედებითი ენერგიით აღსავსენი ეგებებიან წლევანდელი, მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის პირველმაისობას. დაე, უფრო ხელხვავიანი იყოს ჩვენი გარჯა, სულ უფრო მეტი ნვლილი შეგვეტანოს საერთო შრომაში ხალხთა ძმობით შედუღაბებული დიდი საბჭოთა ოჯახის საკეთილდღეოდ!

„ᲡᲝᲘᲣᲖ Ტ-8“ ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1983 წლის 20 აპრილს 17 საათსა და 11 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში გაუშვეს „სოიუზ ტ-8“ პილოტირებული კოსმოსური ხომალდი. ეკიპაჟის შემადგენლობაში არიან ხომალდის მეთაური პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ გიორგის ძე ტიტოვი, ბორტინჟინერი საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის მფრინავი კოსმონავტი გენადი მიხეილის ძე სტრეკალოვი და მკვლევარი კოსმონავტი საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის მფრინავი კოსმონავტი ალექსანდრეს ძე სერებროვი.

ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია „სოიუზ ტ-8“ ხომალდის შეპირაპირება „სალუტ-7“-„კოსმოს 1443“ ორბიტულ კომპლექსთან.

ეკიპაჟმა პილოტირებულ კომპლექსში უნდა შეასრულოს სამეცნიერო-ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევები და ექსპერიმენტები.

კოსმონავტები ტიტოვი, სტრეკალოვი და სერებროვი თავს კარგად გრძნობენ. „სოიუზ ტ-8“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ

„ᲡᲝᲘᲣᲖ Ტ-8“ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ

ᲞᲝᲓᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ ᲢᲘᲢᲝᲕᲘ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ ᲢᲘᲢᲝᲕᲘ დაიბადა 1947 წლის 1 იანვარს ჩიტის ოლქის ქალაქ სრეტენსკში.

1970 წელს ჩერნიგოვის მფრინავთა უმაღლესი სამხედრო საავიაციო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სამხედრო-საჰაერო ძალებში მფრინავ ინსტრუქტორად, შემდეგ კი საავიაციო პოლკის რგოლის მეთაურად. აითვისა რამდენიმე ტიპის თვითმფრინავი, აქვს „პირველი კლასის სამხედრო მფრინავის“ და „მესამე კლასის გამოცდილი მფრინავის“ კვალიფიკაციები.

ვ. გ. ტიტოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1971 წლიდან.

კოსმონავტთა რაზმში ვლადიმერ გიორგის ძე ჩაირიცხა 1976 წელს. მან გაიარა „სოიუზ ტ“ ხომალდებითა და „სალუტის“ ტიპის ორბიტული სადგურებით კოსმოსური ფრენისათვის მომზადების სრული კურსი.

„ᲡᲝᲘᲣᲖ Ტ-8“ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲑᲝᲠᲢᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ

ᲒᲔᲜᲐᲓᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲢᲠᲔᲙᲐᲚᲝᲕᲘ

ᲒᲔᲜᲐᲓᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲢᲠᲔᲙᲐᲚᲝᲕᲘ დაიბადა 1940 წლის 28 ოქტომბერს მოსკოვის ოლქის ქალაქ მიტიშჩიში.

1965 წელს დაამთავრა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო საკონსტრუქტორო ბიუროში. გენადი მიხეილის ძემ თავი გამოიჩინა, როგორც ინიციატივიანმა და ერუდირებულმა ინჟინერმა, მონაწილეობდა კოსმოსური აპარატების შემუშავებასა და გამოცდაში.

გ. მ. სტრეკალოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1972 წლიდან.

კოსმონავტთა რაზმში ჩაირიცხა 1973 წელს.

კოსმოსში გენადი მიხეილის ძე პირველად გაფრინდა 1980 წელს „სოიუზ ტ-3“ ხომალდით და „სალუტ-6“ ორბიტული სადგურით მკვლევარ კოსმონავტად.

„ᲡᲝᲘᲣᲖ Ტ-8“ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲔᲠᲔᲑᲠᲝᲕᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის გმირი, სსრ კავშირის მფრინავი კოსმონავტი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე სერებროვი დაიბადა 1944 წლის 15 თებერვალს მოსკოვში.

1967 წელს დაამთავრა მოსკოვის ფიზიკატექნიკის ინსტიტუტი. შემდეგ ცხრა წლის მანძილზე მეცნიერულ საქმიანობას ეწეოდა ამ ინსტიტუტის ერთ-ერთ კათედრაზე.

1976 წლიდან ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ა. სერებროვი მუშაობს საკონსტრუქტორო ბიუროში. მან თავი გამოიჩინა როგორც ტექნიკურად განათლებულმა და ინიციატივიანმა თანამშრომელმა, რომელსაც უნარი შესწევს დამოუკიდებლად გადაწყვეტოს რთული საინჟინრო და სამეცნიერო ამოცანები. მონაწილეობდა კოსმოსური აპარატების შემუშავებასა და გამოცდაში.

ა. ა. სერებროვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1976 წლიდან.

თავისი პირველი კოსმოსური ფრენა ალექსანდრე ალექსანდრეს ძემ განახორციელა 1982 წლის აგვისტოში „სოიუზ ტ-7“ ხომალდითა და „სალუტ-7“ ორბიტული სადგურით.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

20 Ა�პᲠᲘᲚᲘ გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც გ. ილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგები, მოხსენებები ამ საკითხებზე გააკეთეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. კ. ბაიბაკოვმა და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა ვ. თ. გორბუზოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უზრუნველყოფილია ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი ზრდა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

პროდუქციის რეალიზაციის პირველი კვარტალის გეგმა მრეწველობამ შეასრულა 102 პროცენტით. სამრეწველო წარმოების ზრდამ 1982 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 4,7 პროცენტი, რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გაიზარდა 5,4 პროცენტით, ძირითადი ფონდების ამოქმედება — 8 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა მრეწველობაში 3,9 პროცენტით, რკინიგზის ტრანსპორტზე — 5,1 პროცენტით, მშენებლობაში — 4,2 პროცენტით, პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვა გადიდდა 6 პროცენტით, რძისა — 14 პროცენტით და კვერცხისა — 4 პროცენტით. პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის საგეგმო დავალებანი შესრულა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ და სამრეწველო სამინისტრომ, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გარდა.

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ძირითადად დაამთავრეს საგაზაფხულო თესვისათვის თესლისა და ტექნიკის მომზადება. ქვეყნის ბევრ რაიონში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მინდვრის სამუშაობები.

გრძელდებოდა ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესების პროგრამის განხორციელება. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაიზარდა 3 პროცენტით, საცალო საქონელბრუნვა გადიდდა 2,1 პროცენტით, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა გაიზარდა 6,4 პროცენტით. სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა გზით საექსპლოატაციოდ გადაეცა 9,1 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ამასთან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე აღინიშნა ნაკლოვანებანიც. ვერ შესრულდა მთელ რიგ მნიშვნელოვან სახეობათა სამრეწველო პროდუქციის — სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების, ქიმიური ბოჭკოსა და ძაფის, ტურბინების, ელექტროძრავების, სამანალი მერქნის, ცელულოზის, შალისა და ბამბაშუბის ქსოვილების, ტყავის ფეხსაცმლისა და სხვა პროდუქციის წარმოების გეგმა.

1983 წლის გაგვლილ კვარტალში ხელშეკრულებებისა და შეკვეთების გათვალისწინებით პროდუქციის მიწოდების ვალდებულებანი მთლიანად ვერ შესრულდა. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად ასრულებდნენ მიწოდების ვალდებულებებს სსრ კავშირის ხე-ტყისა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, ქიმიური მრეწველობის სამინისტრო, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო

ცენტით გავზარდეთ, მატერიალური რესურსების გონივრული გამოყენებით დავზოგეთ თითქმის 800 კუბური მეტრი ხე-ტყის სამაგრი მასალა, ათითასობით კილოვატსაათი ელექტროენერგია. ერთი სიტყვით, ყაირათიანი მუშაობით მივაღწიეთ პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების 227.700 მანეთით შემცირებას. ეს ცუდი მაჩვენებელი როდია, მაგრამ არც ზღვარია. ჩვენს საწარმოს უფრო დიდი ეკონომიკური რეზერვების გამოვლენის საშუალება აქვს და მივაღწევთ კიდეც მათ მაქსიმალურ ამოქმედებას.

სამთოელები ყოველდღიურად ზრდიან შრომის ტემპს. ის საწარმოო უბნები, რომელთაც რ. ბურჯანაძე, ჯ. გვაზავა, ა. სამყურაშვილი და ვ. თაბაგარი ხელმძღვანელობენ, უსწრებენ დროს და კარგი მაჩვენებლებით ხვდებიან მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — 1 მაისს.

ᲡᲐᲠᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

ᲐᲐᲮᲚᲔᲑᲔᲜ ᲐᲡᲝᲠᲢᲘᲛᲔᲜᲢᲡ

ᲐᲡᲝᲠᲢᲘᲛᲔᲜᲢᲘ

ᲡᲙᲙᲯ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებს ერთსულოვნად გამოეხმაურნენ თბილისის ტყავ-საგალანტერეო ფაბრიკის მშრომელები. მოწოდებაში ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის მშრომელებო! შემქმენით თითოეულ შრომითს კოლექტივში შემოქმედების, ამხანაგური ურთიერთდახმარების, ხუთწლედის შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის ვითარება! განამტკიცეთ ორგანიზებულობა და წესრიგი, შეგნებული კომუნისტური დისციპლინა!“ ამ დევიზით შრომობენ ახლა ფაბრიკის მშრომელები და ყოველდღიურად უმატებენ შრომის ტემპს.

პირველი კვარტალის სახელმწიფო დავალება ფაბრიკის მშრომელებმა არცთუ ურიგო ეკონომიური მაჩვენებლებით დაამთავრეს. მათ გეგმის გადამეტებით მომზმარებელს 22 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდეს. ხოლო გაასაღეს 24 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი. საწარმოში დიდი ყურადღება ექცევა ასორტიმენტის განახლებას. წლის განმავლობაში აქ 30 ახალი მოდელი უნდა აითვისონ.

მაისის თვიდან საწარმოს კოლექტივი ძირითადად მოსწავლის ჩაცმულობათების დამზადებაზე გადავა.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ

ᲐᲛᲮ. Ა. Გ. ᲥᲣᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲒᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ დარგში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცწლისთავთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, სსრ კავშირის სახალხო არქიტექტორი არნილ გრიგოლის ძე **ᲭᲣᲠᲓᲘᲐᲜᲘ** დაჯილდოვდეს **ᲮᲐᲚ

20 აპრილი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები

საკლასო იუფყება

პარტიული ცხოვრება: ხელმძღვანელობის სტილი

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებს, წევრობის კანდიდატებსა და სარევიზიო კომისიის წევრებს გახანგრძლივებულ წინასწარ დაგეგმვნათ ანგარიში საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს 1982 წლის საქმიანობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად პარტიული მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის ამოცანების შესახებ. საკითხის წინასწარ გაცნობამ ორატორებს საშუალება მისცა პლენუმზე ფართოდ გაეშალათ სჭკ-ბაასი პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის ირგვლივ.

შემოქმედებითი ძიების გზით

ბოლო ათწლეული, ისევე როგორც შარშანდელი წელიწადი, აჭარის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში განსაკუთრებული აღმავლობით აღინიშნა. საერთო წარმატებანი მნიშვნელოვნად განაპირობა პარტიის საოლქო კომიტეტის განუხრელმა ზრუნვამ სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის. სისტემატური კონტროლი იყო დაწესებული 17 ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლის მიხედვით სახელმწიფო დავალების შესრულებისადმი. პარტიის საოლქო კომიტეტი სწავლობდა საწარმოებში არსებული საქმის ვითარებას, ყურადღებას აქცევდა საწარმოო სიმძლავრეთა სრულად დატვირთვას, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად შარშან გამოინახა და ამოქმედდა 52 მილიონი მანეთის დამატებითი პროდუქციის გამოშვების რეზერვები, რის შედეგადაც ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობამ წლიური გეგმა 106,1 პროცენტით შეასრულა.

პროდუქციის რაოდენობასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. ამასთან დაკავშირებით პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება „1982 წელს აჭარის ასს რესპუბლიკაში სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“. გაწეული მუშაობის შედეგად შარშან უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების გეგმა 108,1 პროცენტით შესრულდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა გადამშუშავებელი მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკა მონაწილეობს საკავშირო სასურსათო ბალანსში. ეს განსაკუთრებით ჩაის მრეწველობის სიმძლავრეების გაზრდას ეხება. აღნიშნული საკითხი პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან ერთად საგანგებოდ განიხილა და შესაბამისი ღონისძიებანიც დასახა, რის შედეგადაც გაიზარდა პროდუქციის წარმოება და გაუმჯობესდა ხარისხი. შარშან საოლქო კომიტეტის ბიურომ იმსჯელა ქობულეთის რაისამრეწველო კომბინატის თხევადი ჩაის კონცენტრატების დამამზადებელი საწარმოს მშენებლობის დაჩქარებაზე. საწარმო საექსპლოატაციოდ სეზონისათვის მზად იქნება.

ბევრი რამ გაკეთდა თევზის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. ამ საქმეში ბიუროს მიერ დასახულ ღონისძიებებს კარგი შედეგი მოჰყვა. გაიზარდა სეინერთა რაოდენობა. ათვისებულია ახალი სიმძლავრეები, დაინერგა ახალი ტექნოლოგიური პროცესები.

საქართველოს საზღვაო სანაოსნომ გადაჭარბებით შეასრულა როგორც საზღვარგარეთის, ასევე საკაპოტაჟო ტვირთზიდვის გეგმები.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურო სისტემატურად სრულყოფდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის, მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ფორმებსა და მეთოდებს. ასეთ ღონისძიებათა შედეგია ის, რომ შარშან მეჩაიეებმა და მეციტრუსეებმა რეკორდული მოსავალი მოიყვანეს.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის X პლენუმის მზადების პერიოდში დღის წესრიგში დასმული საკითხის ირგვლივ კომუნისტებმა და მშრომელებმა შეიტანეს 200-ზე მეტი წინადადება, რომლებიც ეხება არა მარტო ბიუროს და სამდივნოს მიერ გაწეულ მუშაობას, არამედ მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებასაც.

პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო პრობლემებსა და გადაუჭრელ საკითხებს. აღინიშნა, რომ ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი მუშაობაში ისევ მისდევს გეგმების კორექტირების მანკიერ სტილს. ქობულეთის ტუნგის ზეთსახდელმა ქარხანამ ბოლო ხუთ წელიწადში 15 მილიონი მანეთით შეამცირა პროდუქციის გამოშვება. ბათუმის თამბაქოს ფაბრიკაში მუშათა დენადობამ 21 პროცენტს მიაღწია. ელექტრომექანიკური ქარხანა ისევ შეფერხებებით და მცირე რაოდენობით იღებს ლენინგრადიდან აკუმულატორებს, რის გამოც საწარმოს უძნელდება გეგმის შესრულება. მკაცრად გაკრიტიკეს ბათუმის სარკინიგზო კვანძის ხელმძღვანელები. მათ შარშან ვერ უზრუნველყვეს სახალხო მეურნეობის ტვირთზიდვის საგეგმო დავალებათა შესრულება. უკეთესი მდგომარეობა არც წელს არის. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების ხელმძღვანელები ვერ იჩენენ საჭირო ოპერატიულობასა და პასუხისმგებლობას. ხაზგზე მოიკოჭლებს დისციპლინა. ამას ნათლად ადასტურებს ბოლო დროს ბათუმსამტრედიის ხაზზე მომხდარი შემთხვევები. მთელი რიგი ორგანიზაციები უპასუხისმგებლობას იჩენენ ვაგონების დროულ დამუშავებაში. აჭარის თევზჭერის სამმართველოსა და ბათუმის ნავსადგურის წარმომადგენლებმა გულსატკივილით თქვეს, რომ მათ საჭირო რაოდენობით ვერ აწვდიან ვაგონებს.

პლენუმზე აღინიშნა, რომ მეტი მუშაობა მართებთ საბჭოებს. დარღვევებია საბინაო ფონდის აღრიცხვასა და დაცვაში. შეინიშნება კერძომესაკუთრული ტენდენციები და რელიგიური რიტუალებით ზედმეტი დაინტერესება. პარტიულმა ორგანოებმა უფრო ხშირად უნდა მოისმინონ საბჭოების მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

1982 წელი გამოირჩეოდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის პრობლემებისადმი მუდმივი ყურადღებით. პარტიის საოლქო კომიტეტი გამუდმებით ეძებდა ახალ გზებს, რათა კიდევ უფრო აემაღლებინა პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი ავტონომიური რესპუბლიკის წინაშე მდგომი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში.

პლენუმზე გამოსულმა ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა კიდევ უფრო დახვეწონ პარტიული მუშაობის სტილი და მეთოდები, პარტიის საოლქო კომიტეტის საქმიანობაში განუხრელად დაინერგოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი ბიუროს და სამდივნოს მიერ ამ მიმართულებით შეძენილი გამოცდილება, საფუძვლიანად შეისწავლონ პარტიული მშენებლობის სიახლეები, საზოგადოებრივ მეურნეობათა მიღწევები.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ.

პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი თავის შემდგომ მუშაობას საფუძვლად დაუდებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნებს, აჭარის მშრომელები ახალი წარმატებებით აღნიშნავენ რუსი და ქართველი ხალხების ნებაყოფლობითი მეგობრობის 200 წლისთავს.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დიდი ძმობის ნიშანსვეტი

21 აპრილს შესრულდა სსრ კავშირისა და პოლონეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 38 წლისთავი.

ლენინის დღეები

ვარშავა. პოლონეთის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 38 წლისთავს. ქალაქებსა და მუშათა დაბებში, საწარმოებში, სამხედრო ნაწილებში მიმდინარეობს ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებული საზეიმო კრებები, ეწყობა სამეცნიერო სესიები, გამოფენები, პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტების, ომის ვეტერანების შეხვედრები. მათი მონაწილეები ხაზგასმით აღნიშნავენ თუ რაოდენ საარსებო მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებას, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა სოციალისტური პოლონეთის განვითარებაში, საბჭოთა კავშირთან ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებაში. ეს ხელშეკრულება, რომელმაც განამტკიცა საბჭოეთთან კავშირი და მეგობრობა, აღნიშნეს ოლშტინის შეხვედრის მონაწილეებმა, სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა ძმურ ოჯახში პოლონეთის ერთგვარი სასტარტო მოედანი გახდა.

მრავალი წლის ტრადიციისამებრ დაიწყო პოლონეთში ლენინის დღეები. ისინი მიმდინარეობს დევიზით „სამარადისოდ ილიჩის სამშობლოსთან“. ნოვა-გუტის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის კულტურის სასახლეში გაიმართა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. მასში მონაწილეობდნენ პოლონეთის ლენინის სახელობის ყველა საწარმოს კოლექტივების მუშათა წარმომადგენლები.

მუზეუმი პორონინოში

პორონინოს ვ. ი. ლენინის მუზეუმი ფართოდ არის ცნობილი არა მარტო პოლონეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამ სახლში, რომელიც გლეხის ქალს ტერეზა სკუპენს ეკუთვნოდა, 1913 და 1914 წლებში ვ. ი. ლენინმა და ნ. კ. კრუპსკაიამ ორი პატარა ოთახი დაიქირავეს.

აქ სათუთად ინახავენ უძვირფასეს ისტორიულ მასალებს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, წიგნებსა და ბროშურებს, სტატიებისა და დოკუმენტების ფოტოპირებს. მუზეუმი დიდ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ეწევა, მჭიდროდ თანამშრომლობს მოსკოვის ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმთან.

ყოველდღიურად მსოფლიოს ყველა კუთხიდან ასობით ადამიანი ათვალიერებს ამ ადგილებს, მუზეუმს, რომელმაც ამას წინათ თავისი 35 წლისთავი აღნიშნა.

გემები საექსპორტოდ

პოლონეთს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოში გემთმშენებლობისა და გემების ექსპორტის დარგში, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საბჭოთა კავშირში იგზავნება.

სსრ კავშირისათვის იყო განკუთვნილი პირველი გემი, რომელიც 35 წლის წინათ ა. ვარსკის სახელობის შჩეცინის გემთსაშენში ააგეს. ეს იყო მადანქვანახშირმზიდი „ჩულიმი“. ახლა აქ აგებენ ორ ბუქსირს საერთაშორისო ორგანიზაცია „პეტრომალტიკისათვის“, რომელშიც პოლონეთის გარდა მონაწილეობენ სსრ კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს ორგანიზაცია აწარმოებს ნავთობის დაზვერვას ბალტიის ზღვის შელფში. დაიწყო საზღვაო საბურღავი პლატფორმების მოსამარაგებელი გემების მეორე სერიის წარმოება.

წლეულს რესპუბლიკაში 57 გემი აიგება — ხუთით მეტი შარშანდელთან შედარებით. 1990 წელს კი გემთმშენებლები წყალში ჩაუშვებენ 800 გემს, აქედან 200 პოლონეთისათვის არის განკუთვნილი, 480 — სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოებისათვის. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავარი სავაჭრო პარტნიორი წინანდებურად საბჭოთა კავშირია.

შეჯიბრების თემაა მეგობრობა

ამას წინათ გამოცხადდა პოლონეთის სკოლებსა და სასწავლებლებში მოქმედი სოციალისტური პოლონეთის ახალგაზრდობის კავშირის და პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წრეების შეჯიბრების შედეგები. შეჯიბრების თემა იყო „საბჭოთა ქვეყანა — მეგობრების ქვეყანა“.

შეჯიბრებაში, რომლის მიზანი იყო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სსრ კავშირის მიღწევათა პროპაგანდა, ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ძმური მეგობრობის განმტკიცება, მონაწილეობდა სოციალისტური პოლონეთის ახალგაზრდობის კავშირის და პოლონეთ-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების სამასზე მეტი სასკოლო ორგანიზაცია.

ლაურეატები გახდნენ სტროზოვიცის პროფტექნიკური სკოლის, ლიუბლინის რკინიგზის სასწავლებლის და ტორნობეკეგის სამთო საქმის სასწავლებლის მოსწავლეები. მათ გადაეცათ ჯილდოები, ხოლო გამარჯვებულთა დამრიგებლებს — პოლონეთ-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების ოქროს სამკერდე ნიშნები.

● ესპანეთი

მადრიდის შეხვედრა განახლდა

მადრიდი. აქ განახლდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების შეხვედრის მუშაობა.

პლენარულ სხდომაზე გამართულ დისკუსიაში მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციები.

ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციების ხელმძღვანელებმა ი. გულინსკიმ და პ. შტეგლიხმა აღნიშნეს, რომ შესაძლებელია წარმატებით დამთავრდეს მადრიდის შეხვედრა და მიეღებენ შინაარსიან და შეწონასწორებულ საბოლოო დოკუმენტს ნეიტრალური და მიუმხრობელი ქვეყნების გამოგზავნილი პროექტის საფუძველზე, რომელიც მარტის შუა რიცხვებში იყო წარმოდგენილი. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ამასთან აღნიშნა, რომ ნეიტრალური და მიუმხრობელი ქვეყნების განახლებული პროექტი შეიცავს მთელ რიგ ფორმულირებებს, რომლებიც სათანადოდ არ გამოხატავენ ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების პოზიციებს.

„თიეულის“ წევრი დასავლეთ ევროპის ქვეყნების სახელით გამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელი, რომელმაც მთლიანად თავი აარიდა ნეიტრალური და მიუმხრობელი ქვეყნების პროექტის შეფასებას.

სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. გ. კოვალოვი.

ჩვენი აზრით, აღნიშნა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, განახლებული პროექტი შეიძლება საფუძვლად დაედოს შეხვედრის საბოლოო დოკუმენტის სრული შეთანხმებისათვის მუშაობის დამთავრებას. ასეთია საბჭოთა კავშირის პოზიცია.

ამერიკის დელეგაციის მეთაურმა თავის თავზე მიიღო სსრ კავშირის წარმომადგენლის გამოთქვამი იმის თაობაზე, რომ ბრალი დაედებათ დელეგაციებს, რომლებიც ეცდებიან ჩაფუშონ მადრიდის შეხვედრა. ამასთან დაკავშირებით მან მიმართა ტრაფარეტულ მონაპორებსა და რიტორიკულ მოწოდებებს.

იმავე დღეს დაიწყო მადრიდის შეხვედრის სამუშაო ორგანოების სხდომები.

● ინდოეთი

მტრული კამპანია

დელი. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო ინდოეთის წინააღმდეგ ღვარძლიანი კამპანიის მორიგი ეტაპი. როგორც ინდოეთის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ნიუ-იორკში გაიმართა იმის მომხრეთა პროვოკაციული დემონსტრაცია, რომ ინდოეთს ჩამოაშორონ ფენჯაბის შტატი და მის ბაზაზე შექმნან ეგრეთ წოდებული „სიკჰთა დამოუკიდებელი სახელმწიფო ჰალისტანი“. დემონსტრაციაში მონაწილეობდა ჰალისტანის თვითმარქვია პრეზიდენტი ჯ. ს. ჩაუხანი.

ინდოეთისადმი მტრული კამპანია ეწყობა ოფიციალურ ხელისუფალთა პირდაპირი ხელშეწყობით. მიუხედავად ინდოეთის მთავრობის პროტესტებისა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა დემონსტრაციულად მისცა შესვლის ვიზა ჯ. ს. ჩაუხანს.

● ავღანეთი

ტრიბუნალის განაჩენი

ქაბული. ავღანეთის დედაქალაქში გაიმართა სპეციალური რევოლუციური ტრიბუნალის სხდომა. სასამართლოს წინაშე წარდგა 8 კაცი, რომლებსაც ბრალად ედებათ დანაშაულობანი ავღანელი ხალხის წინააღმდეგ.

შარშან ნოემბრის დამლევს მათ რამდენიმე ბომბი ააფეთქეს ქაბულის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე სავაჭრო ობიექტებში. დივერსიული აქციის შედეგად რამდენიმე კაცი გარდაიცვალა და დაშავდა.

ტრიბუნალმა საკადრისი განაჩენი გამოიტანა: დანაშაულის მთავარ ორგანიზატორსა და შემსრულებელს გოუსუდინს სიკვდილი მიესაჯა, დანარჩენებს — სხვადასხვა ვადით პატიმრობა.

ფოტოინფორმაცია

● ინდოეთი

აფრიკა — მშვიდობის ზონა!

ბისაუ. გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა მასობრივი მანიფესტაცია ლოზუნგით — „აფრიკა — მშვიდობის ზონა!“ მშვიდობის მომხრეთა მრავალათასიან მარშში მონაწილეობდნენ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ახალგაზრდული და სტუდენტთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ბისაუს მცხოვრებნი. მათ მხარი დაუჭირეს საყოველთაო მშვიდობისა და დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლას, გულისწყრომით დაგმეს იმპერიალიზმის დანაშაულებრივი გეგმები, რომლებიც კაცობრიობას მოსპობის საფრთხეს უქმნის.

სურათზე: მიტინგის დროს.

საკლესინის ფოტო.

● ნიკარაგუა

განდიტური თავდასხმა

მანაგუა. ნიკარაგუის ერთ-ერთ საზღვრისპირა რაიონში მორიგი ტერორისტული აქცია მოაწყვეს სომოსელმა არამზადებმა, რომლებიც ჰონდურასის ტერიტორიაზე არიან მოკალათებული და ამ ქვეყნის რეაქციული მხედრობისა კარნახით მოქმედებენ. დაქირავებული არმიის 20-მდე კონტრრევოლუციონერი ჰონდურასიდან შეიჭრა ნიკარაგუის ჩინანდეგის დეპარტამენტში და ბანდიტურად თავს დაესხა სოფელ ვადო-ანჩოს. ტერორისტებმა, ნათქვამია ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, მხეცურად მოკლეს ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრები და მძევლებად წაიყვანეს სამი მედიცინის მუშაკი, აგრეთვე ხუთი ბავშვი.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა ჰონდურასის ხელისუფლებას, რომელიც სულ ღრმად ეფლობა რევოლუციური რესპუბლიკის სახალხო მხატვარი კ. ბოგდანასი. — ეს ურთიერთობა უცვლელად გვამდიდრებდა ჩვენ, ხელს უწყობდა ჩვენი ხალხების ურთიერთგაგების განმტკიცებას.

მით უფრო მეტი პროტესტი და გულისწყრომა გამოიწვია ჩემში სოფრანგეთის ხელისუფალთა მიერ ჩადენილმა უპრეცედენტო აქტმა. ეს ხომ არყევს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის საფუძვლებს, რომელიც ყოველთვის იყო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის ფაქტორი. ისტორია არ აპატიებს იმათ, ვინც აჰყვა ოკეანისგაღმელ სპეცსამსახურეს, ხელყო ჩვენი ქვეყნების ტრადიციული მეგობრობა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ზრუნვა ადგილობრივი კურორტებისათვის

ადგილობრივი კურორტების კომპლექსური, გეგმაზომიერი და მიზანმიმართული განვითარება უნდა უზრუნველყოს ახლახან შექმნილმა საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკურმა საკოორდინაციო საბჭომ. გაიმართა მისი პირველი სხდომა.

საბჭოს ამოცანებს შეეხო მისი თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია.

საბჭოს 1983-1985 წლების მუშაობის პერსპექტიული გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს უფროსმა ზ. გ. ღუღუნიშვილმა.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოს ამოცანაა კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სანატორიულ-საკურორტო და გამაჯანსაღებელი დაწესებულებების საქმიანობას მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, ხელი შეუწყოს რესპუბლიკის სამკურნალო რესურსების, საკურორტო ფაქტორების რაციონალურ გამოყენებას.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს ადგილობრივი მნიშვნელობის 60-ზე მეტი კურორტი. უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს მათი კეთილმოწყობისათვის. მაგრამ, იმის გამო, რომ კურორტები და სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებანი სხვადასხვა უწყებასა და ორგანიზაციას ეკუთვნის, იქმნება უწყებრივი ბარიერები. ეს კი უარყოფითს გავლენას ახდენს როგორც ბუნებრივი სამკურნალო რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, ისე საკურორტო ინდუსტრიის განვითარებაზეც, ავადმყოფთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხარისხზეც.

იმის შედეგად, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებს სათანადო ყურადღება არ ეთმობა, მათში დამსვენებელთა რიცხვი წლითიწლობით კლებულობს. დღემდე არაფერი არ გაკეთებულა იმისათვის, რომ ადგილობრივი კურორტები დამსვენებლებს იღებდნენ მთელი წლის განმავლობაში. ეს კი სოფლის მეურნეობის ბევრ მშრომელს მისთვის მოხერხებულ დროს დასვენების შესაძლებლობას არ აძლევს.

სხდომაზე ითქვა, რომ აღნიშნულ ნაკლთაგან ბევრი იმის ბრალია, რომ რესპუბლიკაში არ იყო ერთიანი ორგანო, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა და წარმართავდა ბუნებრივ საკურორტო სამდიდრეთა ათვისებისა და ექსპლოატაციისათვის სხვადასხვა უწყების საქმიანობას.

საკოორდინაციო საბჭომ, ხაზგასმით აღინიშნა გამოსვლებში, დაუყოვნებლივ უნდა მოჰკიდოს ხელი საქართველოს ადგილობრივი კურორტების განვითარების გენერალური სქემის შემუშავებას, რათა უკვე მომდევნო ხუთწლედში გეგმაზომიერი გახადოს კურორტების გაშენიანება და განვითარება. ამასთან ეს სქემა უნდა დაუკავშიროს რესპუბლიკის წინაშე დასახული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას.

მნიშვნელოვანი მუშაობა უნდა განხორციელდეს კურორტების კეთილმოწყობისა და იერის გაუმჯობესებისათვის. საიდუმლო ხომ არ არის, რომ ბევრი უწყება, როცა დასვენების ობიექტს აშენებს და მას შემოღობავს, კეთილმოწყობის საკითხებს მხოლოდ თავისი ტერიტორიის ფარგლებში წყვეტს. ამასთან ისინი სრულიადაც არა ზრუნავენ მთელი კურორტის ინტერესებისათვის. დრო, ბოლო მოეღოს ასეთ პრაქტიკას, თქვეს გამოსულებმა. კურორტზე ამა თუ იმ უწყების დასვენების ობიექტის არსებობა მუდამ უნდა განსაზღვრავდეს მის მონაწილეობას კურორტის კეთილმოწყობაში.

ახალი საკურორტო ადგილების ათვისება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელიც საკოორდინაციო საბჭოს წინაშე დგას. მაგრამ დღეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს არსებულ ადგილობრივ კურორტებზე რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

პაწკრიოტული თაოსნობის მხარდასაჭერად

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ინიციატივის მხარდაჭერის შესახებ.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით გარკვეულ მუშაობას ეწევიან სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების იმ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომ გადიდებასთან, ასორტიმენტის გაფართოებასა და ხარისხის გაუმჯობესებასთან. სპეციალურ სესიებზე, მათი აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე რეგულარულად განიხილავენ ხალხის კეთილდღეობის ამაღლების, ფართო მოთხოვნილების საქონლის გამომშვებ სამრეწველო საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს, ისმენენ საწარმოთა ხელმძღვანელებისა და დეპუტატთა ჯგუფების ანგარიშებს.

რესპუბლიკაში დასახულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის უპირატესი ტემპი. მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია დამატებით 800 მილიონი მანეთის ამ საქონლის გამოშვება, ასორტიმენტის მნიშვნელოვანი გაფართოება და პროდუქციის ხარისხის ამაღლება.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ მინიჭებულ უფლებებსა და შესაძლებლობებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, ტრადიციული ხალხური სარეწების გამოვლენისა და აღორძინებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მხარდასაჭერად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის წარილისა „საქონელი ყველასათვის ყველას საქმეა“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „იზვესტიის“ 1983 წლის 20 მარტის ნომერში, დაავალა სახალხო დეპუტატთა სოფლის, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ყველგან მოაწყონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ზემოაღნიშნული წერილის განხილვა. მათს ტერიტორიაზე განლაგებულ სამრეწველო საწარმოთა შრომითი კოლექტივების ძალ-ღონე მოახმარონ სამომხმარებლო პროდუქციის გამოშვების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეს. საქონლის გამოშვების გასადიდებლად უფრო სრულად გამოიყენონ საწარმოო ნარჩენები, მეორეული და ადგილობრივი რესურსები, გააჩაღონ მუშაობა თითოეული რეგიონისათვის ტრადიციული ხალხური სარეწების გამოვლენისა და აღორძინებისათვის. გაადვილონ კონტროლი სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების საგეგმო დავალებათა შესრულებისა და მისი ხარისხის ამაღლებისადმი. ამ მუშაობაში აქტიურად ჩაებან საბჭოების მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები, დეპუტატები და სახალხო კონტროლიორები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიებს მიეცათ რჩევა — გააძლიერონ კონტროლი შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობისადმი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის ამაღლების დარგში.

რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, საქინფორმს დაევალათ სისტემატურად გააშუქონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი ორგანოების მუშაობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში რესპუბლიკის ცალკეული რეგიონებისა და შრომითი კოლექტივების მოწინავე გამოცდილების დანერგვისა და გავრცელებისათვის. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ემბრიოლოგიის განყოფილების გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პავლე სიოს ძე **ჭანტურიშვილი** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიპატიო სიგელით.

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აროორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯონდო ივანეს ძე **ჯაფარიძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიპატიო სიგელით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების კომისიებში

19 აპრილს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივ კომისიათა გაერთიანებული სხდომა. განიხილეს საკითხი იმის შესახებ, თუ რა მუშაობა წარმოებს ბელგოროდისა და ტამბოვის ოლქებში სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის დავალებათა შესასრულებლად რაიონულ ცენტრებთან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საიმედო სატრანსპორტო კავშირურთიერთობის ორგანიზაციისა და შიდასამეურნეო გზების მშენებლობის ნაწილში.

დეპუტატთა მოხსენებებსა და გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, სამეურნეო ორგანოებმა გააძლიერეს ყურადღება საგზაო მშენებლობის საკითხ

ვულოცავთ ლაურეატებს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს წარდგინება და სახალხო მეურნეობისა და მისი დარგების განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით კომპლექსური სამეცნიერო გამოკვლევების, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ნამუშევრების შესრულებისათვის და ამ გამოკვლევებისა და ნამუშევრების შედეგების დანერგვისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის პრემიები მიანიჭა მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა დიდ ჯგუფს.

ლაურეატთა შორის არიან ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, რუსთავის ქიმიური ქარხნის მთავარი ინჟინერი **ზ. ი. კერვალიშვილი** და ამავე ქარხნის წარმოების უფროსის მოადგილე **გ. ა. ფადავა,** რომლებსაც სხვებთან ერთად პრემიები მიენიჭათ მაღალეფექტიანი მასის გადამცემი სავიბრაციო სვეტების გამოკვლევის შემუშავებისა და მრეწველობაში დანერგვისათვის.

პრემიები მიენიჭათ აგრეთვე ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატს, ლ. ი. კარპოვის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის უფროს თანამშრომელს **თ. რ. აგლაძეს** და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისრის“ მეტროლოგიის საშუალებათა ავტომატიზაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს **ი. ნ. მუჯირს** — პოტენციურ-სტატისტიკური კოროზიული და ელექტროქიმიური კვლევისათვის საჭირო აპარატურის კომპლექსის შემუშავებისა და სერიული წარმოების ორგანიზაციისათვის. (საქინფორმი).

● ●

ნეიროფიზიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი

ტბილისს სისხლის მიმოქცევის მნიშვნელოვან პრობლემებს მიეძღვნა ნეიროფიზიოლოგთა თბილისის მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც 20 აპრილს გაიხსნა საქართველოს დედაქალაქში. აქ შეიკრიბნენ საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, პოლონეთის, იუგოსლავიის, დანიის, კანადის, ნორვეგიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იაპონიის მეცნიერები. ისინი განიხილავენ და გააანალიზებენ დღემდე დაგროვილ მთელ ექსპერიმენტულ და თეორიულ მონაცემებს ძირითადი მექანიზმების შესახებ, რომლებიც იწვევენ ტვინის შეშუპებას ან ხელს უწყობენ მის თავიდან აცილებას.

თბილისის სიმპოზიუმებს ოცი წლის ისტორია აქვს. ისინი იპყრობენ საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერების ყურადღებას, რომლებიც იწვევიან ფუნდამენტურ და გამოყენებითს კვლევას თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის დარგში, აგრეთვე სწავლობენ მომიჯნავე პრობლემებს. მრავალი ბიოსამედიცინო დარგის წარმომადგენლები განიხილავენ სხვადასხვა მეთოდით განხორციელებულ მეცნიერიული ნამუშევრების შედეგებს. ეს სიმპოზიუმში მონაწილე კლინიკისტებს ეხმარება მონახონ იმ პრობლემების ახალი გადაწყვეტა, რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ტრადიციული თბილისური სიმპოზიუმები საქართველოში შემოხვევით როდი იმართება. აქ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ტვინის სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ლაბორატორიაში თანამედროვე დონეზე წარმოებს ტვინის სისხლის მიმოქცევის მექანიზმის კვლევა. მიღებულია მნიშვნელოვანი მონაცემები ტვინის არტერიული სისტემის როლისა და ცხოველმოქმედების შესახებ, ვლინდება ნერკეული მექანიზმები, რომლებიც არეგულირებენ მისივის სისხლის მიწოდებას.

— მეხუთე სიმპოზიუმი ეძღვნება თანამედროვე ბიოსამედიცინო მეცნიერების ერთ-ერთ აქტუალურ და ურთულეს პრობლემას — თავის ტვინის შეშუპების პათოფიზიოლოგიურ მექანიზმებს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის ყველა სიმპოზიუმის ინიციატორმა და ორგანიზატორმა პროფესორმა გ. მჭედლიშვილმა. — პრობლემის მნიშვნელობა დაკავშირებულია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ზრდასთან. მისი სირთულე განპირობებულია, კერძოდ, მრავალგვარი ფაქტორებით, რომლებიც გვევლინა ახდენენ ტვინის შეშუპების განვითარებასა და თავიდან აცილებაზე.

თბილისის ნეიროფიზიოლოგთა სიმპოზიუმი, რომელიც ტვინის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით ეწეოყო, სამ დღეს გასტანს.

საამაყოდ და საბედნიეროდ

თქვენი ცხოვრების ერგასი წლის თავზე მხურვალედ მოგესალმებით დიდად განთქმულ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, რომელსაც თვალსაჩინო ღვაწლი მიგიძღვით უახლესი ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში. მოგილოცავთ ჩინებულად დაწყებულ მოღვაწეობას და სულით და გულით გისურვებთ ტანის სიმრთელეს, სულის მხნეობას, ჩემ დროთა მოყრას და ბევრად გადაცილებას, რომ კვლავაც მხნედ განგეგრძოთ მრავალმხრივი და მეტად საჭირო მოღვაწეობა თქვენი ცოლ-შვილისა და მეგობრების სასიხარულოდ, ქართული მწერლობის გასამდიდრებლად და ქართველი ერის საამაყოდ და საბედნიეროდ.

იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ!

აკაკი შანიძე.

მხილების მკაცრი პათოსი

გურამ ფანჯიკიძის პროზა, უპირველეს ყოვლისა, მკაცრი მხილებაა ჩვენი სინამდვილის, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მაკიერი მხარეებისა, ძველი თაობების მრავალი საბჭოთა ადამიანისათვის ხშირად აუხსნელი, უსაზღვროდ ჩამაფიქრებელი მოვლენებისა.

თუმცა ეს მოვლენები, თავის ჩანასახში ჯერ კიდევ ათეული წლების უკან შეამჩნია ქართული საბჭოთა პროზის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და დიდებულმა ოსტატმა მიხეილ ჯავახიშვილმა, როგორც ჩანს, ჩვენი პროზა შემდგომ ათეულ წლებში სათანადო სიმკაცრით ვერ წვდებოდა, ან თავს არიდებდა ამ სატკივრებს, რამაც შემდეგ ერთხანს ასე ძალუმად მოიდგა ფეხი ჩვენს სინამდვილეში და რაც, სამწუხაროდ, დღესაც ხშირად გვახსენებს თავს.

თუ არ ვცდები, გურამ ფანჯიკიძე, თავისი მხატვრული სიტყვით, ერთი პირველთაგანი ეკვეთა ჩვენი დროის, ჩვენი სინამდვილის ამ მოვლენებს და აგერ მთელი წლების მანძილზე გაბედულად და ბარაჯიანად მიაბიჯებს ქართული კლასიკური და საბჭოური კრიტიკული რეალიზმის ამ ეკლიან გზაზე. მე მეჩვენება, გურამ ფანჯიკიძის რომანებისა და მასთან ერთად რამდენიმე ქართველი ბელეტრისტის ნაწარმოებთა ამგვარი გამბედაობითაც აიხსნება ის დიდი ყურადღება, რომლითაც დღევანდელი ქართული პროზა სარგებლობს მრავალმილიონიან მკითხველთა შორის ჩვენს დიდ ქვეყანასა და მის საზღვრებს გარეთ.

გურამ ფანჯიკიძე იბრძვის, იბრძვის როგორც ბელეტრისტი, როგორც ჟურნალისტი, როგორც საზოგადოებრივ საქმეთა პრაქტიკული ორგანიზატორიც. დღეს მას მხოლოდ 50 წელი შეუსრულდა. სულით და გულით ვუსურვებ მას დიდ წარმატებებს მომავალ ათეულ წლებში.

ირაკლი აბაშიძე.

მთავარი სიმაღლე დაძლეულია

ორმოცდაათი წელი შეგსრულებია, რომ გავიგე, ვიფიქრე, რა ცოტაა-მეთქი, რომ ჩავუფიქრდი, მივხედი რა ბევრია.

ცოტა იმიტომაა, შენ ისეთი ღონეერი, მოძრაი კაცი ხარ, სამს თუ არა, ორ მაგდენს მაინც იცხოვრებ, ბევრი კი იმის გამოა, რომ, შენი ბოლო რომანის არ იყოს, აქტიური შემოქმედებითი წლები დაგვიდგა და აწი საქმე მოსწრებაზეა, მზე ზენიტზე დადგა და გინდა, თუ არ გინდა, უნდა გადაიხაროს.

მე და შენ თითქმის ერთად გავიზარდეთ ლიტერატურაში. უფრო სწორად მე, რამდენიმე წლით გაგასწარი და შენ ჩემი „მეთვალყურეობით“ იზრდებოდი და მიხარია, რომ დგახარ ახლა 50 წლის მუხასავით, უამრავი დასიცხული კაცის საჩრდილობელი, უამრავ რკოგამოსხმული, მოშრიალე და მოგუგუნე.

სპორტი გიყვარს ძალიან და სპორტიდანვე ბოგახსენებ: როდესაც რობერტ შავლაყაძემ იტალიაში სიმაღლეზე ხტომაში აჯობა ზანგს, იმ წაგებულ ზანგს ჰკითხეს — რა აზრისა ხართ შავლაყაძეზეო — ასე უპასუხა: — ის სპორტსმენი, რომელიც 2 მეტრსა და 10 სანტიმეტრს სიმაღლეს დაძლევს უკვე დიდი სპორტსმენიაო. შენც ასე ხარ, ჩემო გურამ, შენთვის უკვე სანტიმეტრებს აღარ აქვს მნიშვნელობა, მთავარი სიმაღლე დაძლეული გაქვს, მე სხვა რამის თქმა მინდა ახლა, ამ ბოლო დროს ისე მომრავლდა იუბილეები, ისე მომძლავრდა მოღვაწეთა სიაში მოხვედრის მსურველთა რაოდენობა, იმდენი დიდებისა და აღმატების ეპითეტი დაიხარჯა მათ ქებაში, არც კი ვიცი რა ეპითეტით მოგმართო, რომ ასეთ ხალხში გამოგარჩიო. ერთი კია, ყველა ჩენს მეგობარში გამოირჩევი შეუპოვრობით, ენერგიით, მიზანსწრაფვით, შრომასმოყვარეობით. უნივერსალური კაცი ხარ.

გურამი სად არის? მსოფლიო პირველობაზე, გურამი სად არის? თუშეთში; გურამი სად არის? ხევსურეთში, ფიჯის კუნძულებზე, ავსტრალიაში, კოლხეთში, ინგლისში, მესხეთ-ჯავახეთში, ამერიკაში, სვანეთში...

რაზე მუშაობს? —წერს, წერს, წერს კოსმოსზე, ფიზიკაზე, ბუნების დაცვის საკითხებზე, ქიმიაზე, ატომზე, სოციოლოგიაზე, ეკონომიკაზე, წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე... ბრწყინვალე პუბლიცისტია და ჟურნალისტი. რამე რომ არ გამომრჩეს, ასე ვიტყვი:

— დედამიწა ხელისგულზე გიდევს და ისე უყურებ თითქოს შენი შექმნილი იყოს.

ღმერთმა ხელი მოგიმართოს და გაგახაროს!

ნოდარ დუმბაძე.

ხალხის სიყვარული

გურამ ფანჯიკიძემ ზედიზედ სამი რომანი გამოაქვეყნა. ეს რომანები მრავალ ენაზე ითარგმნა, თეატრისა და კინოს კუთვნილებაც მაშინვე გახდა და ფართო საზოგადოებრიობა აალაპარაკა. მან გამბედულად ამხილა სოციალისტურ ცხოვრებასთან შეუთავსებელი ის მანკიერებანი, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში იკიდებდა ფეხს და ერთმა პირველთაგანმა მისცა მხარი იმათ, ვინც ამ მანკიერებებს პრინციპული ბრძოლა გამოუცხადა.

გ. ფანჯიკიძის რომანების პოპულარობა არა მარტო კრიტიკულმა პათოსმა, არამედ ფიზიკურულმა დამაჯერებლობამაც განაპირობა.

გ. ფანჯიკიძეს ლიტერატურულ განათლებასთან ერთად ტექნიკური განათლებაც აქვს მიღებული და ეს უპირატესობა მას დიდად ეხმარება როგორც მხატვრულ პროზაში, ისე პუბლიცისტურ-ჟურნალისტურ გამოსვლებში.

მისი რომანების გმირები სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელები არიან, ხოლო ბევრი მისი წერილი მეცნიერების სადღეისო რთულ პრობლემებს ეძღვნება.

გ. ფანჯიკიძე ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც იწევს. იგი სათავეში უდგას ჩვენი რესპუბლიკის მთავარ გამომცემლობას და ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ უნარიანად ხელმძღვანელობს ჩვენი კულტურის ამ მნიშვნელოვან უბანს.

გ. ფანჯიკიძემ სახელოვნად განვლო ნახევარ-საუკუნოვანი გზა, ხალხის სიყვარული და პატივისცემაც დაიმსახურა და, ჩვენ ისევ დაგვრჩენია, ჩვენს უმცროს მეგობარს ვუსურვოთ კიდევ მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობა მისი სათაყვანებელი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენი მწერლობის სასახელოდ.

გრიგოლ აბაშიძე.

ერთი სიტყვით: კაცი!

მძაფრი პუბლიცისტური შემართების მწერალი.
მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე.
რეალისტი მხატვარი.
თავდადებული მეგობარი.
სანაქებო ოჯახის პატრონი.
გარდა გურამ ფანჯიკიძისა, ამჟამად საქართველოში ერთობ იშვიათია ისეთი პიროვნება, ყველა ეს ღირსება რომ ჰქონდეს.
ცოტაა გურამისთანა, ძალიან ცოტა!
სიტყვის კაცია გურამი!
საქმის კაცია გურამი!
ჭირის კაცია გურამი!
ლხინის კაცია გურამი!
ერთი სიტყვით: კაცია!
ჩემო გურამ!
ზენაარსა ვთხოვ, გაცოცხლოს დიდხანს, დიდხანს!
გევლოს სულ წინ და სულ მაღლა!
რაც მთავარია, გისურვებ, სამარის კარამდე უკლებლივ შეგეგნარჩუნებინოს ყველა ის ღირსება, რაც ახლა გაქვს.

მუხრან მაჭავარიანი.

დროის მხარდამხარ

დღევანდელ ქართველ პროზაიკოსთა შორის გურამ ფანჯიკიძე ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე მწერალია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი თანამედროვეა თავისი ცხოვრების წესით, ლიტერატურული შეხედულებით, წერის მანერით. დღევანდელი ყოფიერება, დროის რიტმი, ცხოვრებისეული კონფლიქტები, პრობლემები, თანამედროვეთა რთული ხასიათები, რთული ურთიერთობანი მისი მხატვრული ძიებებისა და ფილოსოფიური ანალიზის საგანია. იმდენად ცხოვრებისეულია გურამ ფანჯიკიძის ნაწარმოებთა გმირები, რომ მე, როგორც მკითხველს, ისინი ჩემი მეზობლები, ნათესავები და მეგობრები მგონია, რომლებთანაც ერთად გავზრდილვარ, მისწავლია ან მიმსახურია. სწორედ ამ გმირებმა, ერთ-ერთმა პირველებმა, აღიმაღლეს ხმა სხვადასხვა სულიერ სიმაღლეთა წინააღმდეგ და საზოგადოების გულისყური სწორი ზნეობრივი ორიენტირებისაკენ მიმართეს. მისი გახმაურებული რომანი „თვალი პატიოსანი“ მე თანამედროვე ქართული პროზის განვითარების საეტაპო მოვლენად მიმაჩნია.

როგორც მწერალსა და მოქალაქეს გ. ფანჯიკიძეს დიდად ამშვენებს მისი საზოგადო, განსაკუთრებით კი პუბლიცისტურ-ჟურნალისტური მოღვაწეობა. მას გულთან მიაქვს ყოველგვარი საჭირბოროტო საკითხი, ყოველგვარი საზოგადოებრივი სატკივარი, აღელვებს და აინტერესებს ყოველგვარი წვრილმანი ერის ცხოვრებაში. გურამ ფანჯიკიძე— პიროვნება ისევე საინტერესოა, როგორც მისი ლიტერატურული გმირები. იგი სულ შემართული, სულ „ცეცხლის ბაზზეა“, მარად დაუმცხრალი, ენერგიული, საქმეებში კისრამდე ჩაფლული. ჯერ არვის უნახავს მოცლილი, უზრუნველი და არხეინი გურამ ფანჯიკიძე. მის წიგნებსა და მოღვაწეობაში ძალიან მომწონს აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, ყოველგვარი ეროვნული საქმის გულშემატკივრობა. გურამ ფანჯიკიძის გულშემატკივრობის სარბიელი თითქმის უსაზღვროა.

50 წელი ისეთი კაცისთვის, როგორც გურამ ფანჯიკიძეა, მართლაც არაფერია. ბუნებამ მისთვის რკინის ორგანიზმი და მრავალმხრივი ნიჭი მიუცია. შრომას არ შეუშინდება. ეს ასაკი ბელეტრისტისათვის ნამდვილი ინტელექტუალური სიმწიფის ხანაა.

შოთა ნიშნიანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის ბრძანებულება
ამხ. გ. ი. ფანჯიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი გურამ ივანეს ძე **ფანჯიკიძე** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**
თბილისი. 1983 წლის 20 აპრილი.



მხატვრული სიტყვის სიმძაფრე

იმ მხედართმთავრებს მსგავსად, რომელთა მოწოდებაც უშუალოდ ბრძოლის ქარცეცხლში დატრიალებულ წინააღმდეგობათა გადალახვაში გამოვლენილა, გურამ ფანჯიკიძე არის მწერალი, რომლის ტალანტიც ჩვენი დროისა და ცხოვრების უმწვავეს პრობლემებზე რეაგირების სიმძაფრეში იხატება.

ეს არ არის გ. ფანჯიკიძის მხოლოდ ლიტერატურული სახის ნიშანდობლივი შტრიხი. ეს მისი თანდაყოლილი თვისებაა. მომდინარეობს იგი მისი ინდივიდუალური ბუნებიდან და ტემპერამენტიდან. ესაა მისი შინაგანი წყობის თავისებურება და ხასიათი.

ასეთებად იბადებიან...

ამგვარი წყობის ადამიანები ცხოვრებაში, ჩვეულებრივ, მშფოთვარე და მოუსვენრები არიან, უსამართლობის შეურიგებელი მტრები — სოციალურ მიმართებებში, ყალბი აკადემიზმისა — მწერლობასა და ხელოვნებაში.

მაგრამ ლიტერატურული პროცესების შინაგან წინააღმდეგობებში ჩახედულ მკითხველს მოეხსენება: როგორც ბრძოლის მოწინავე ხაზზე მხედართმთავრის შეტრაა საბედისწერო რისკი, ზოგჯერ მწერლისათვის, ასეთივე დანის პირზე გავლის ბადალი: დროისა და ცხოვრების ცინცხალ პრობლემებში შეჭრა.

გ. ფანჯიკიძის მიერ მკითხველთა უფართოესი აუდიტორიის გულის მონადირების მთავარი საიდუმლოება სწორედ ის არის, რომ ის დემონსტრატიულად, გამომწვევად, პრინციპულად აქტუალური მწერალია. მწერლობის დანიშნულებაში მან მოქალაქის სრულყოფის გზა და მრწამსი აღმოაჩინა.

დროთა ვითარებაში ეს პოზიცია მან პიროვნულ ვნებად აქცია; წერს მხოლოდ იმაზე, რაც ეხებავს, უგრძვნია, გაუცნობიერებია, ანაც მისი თაობის ბიოგრაფიულ გამოცდილებად ქცეულა.

წერს მეტალურგებზე? — თავად მდგარა მარტენის ღუმელთან.

წერს ჟურნალისტზე? — თავადაა ჟურნალისტიც.

წერს ტექნიკური ინტელიგენციის სულიერ პრობლემებზე? — თავადაა უმაღლესი პოლიტექნიკური განათლების მქონე.

წერს მეგობრობაზე? — თავადაა მეგობრული გამტანობის ქომაგი.

წერს მრავალშვილიანობის საკეთზე? — თავისი ოჯახით სხვებს აძლევს მაგალითს.

წერს ფეხბურთზე? — თავად უთამაშია ფუხბურთიც და მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებსაც პირადად დასწრებია.

წერს თუშეთზე? — ფეხით დაუვლია ეს კუთხე და უკისრია მისი ავლადიდების გამჭრიალ ქომაგთა თანამებრძოლობაც...

პირველი მოთხრობებით გურამ ფანჯიკიძემ 50-იანი წლების მიწურულს შემოაბიჯა ქართულ მწერლობაში.

მაგრამ ლიტერატურული ცხოვრების ეპიცენტრში ის 60-იანი წლებიდან მოექცა.

ეს იყო მთელი კულტურის სისტემის ფუნდამენტური გადახალისების ხანა. ეს პროცესი გლობალური ხასიათს ატარებდა.

ჩვენი მწერლების კონტექსტში იგი მოასწავებდა ადამიანის მიღმა არსებულ ფასეულობებზე ორიენტირებული კულტურის სისტემის შემობრუნებას თავისი ძირითადი საყრდენისაკენ — ადამიანისაკენ. ამ შემობრუნებას მწერლობაში ადამიანის პრობლემებით გატენილი ცვლილებები მოჰქონდა.

ჩვენში ამ მისიის შესრულების უმძიმესმა ტვირთმა, ძირითადად, „ლირიკული პროზის“ სუსტ მხრებზე გადაიარა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 60-იან წლებში „ლირიკული პროზა“ იყო მოდაც და გზაც აწალი პლეადის მიერ ლიტერატურაში დასამკვიდრებელი ჰუმანისტური ამოცანების განხორციელებისათვის.

როდესაც ქართული პროზის პარნასზე: ნ. დუმბაძემ, ა. სულაკაურმა, რ. ინანიშვილმა, ე. ყაფიანმა, თ. ჭილაძემ, გ. რჩეულიშვილმა და სხვებმა უკვე მონიშნეს საკუთარი პრობლემებისა და თემატიკის სამფლობელოები, ხოლო ჯ. ამირეჯიბი და ო. ჭილაძე სათქმელის გაფაციცებულ მზადებაში იყვნენ—გ. ფანჯიკიძემ პრინციპულად განსხვავებული მიმართულებით აიღო გეზი.

ეს იყო გზა არა „ლირიკული პროზის“ ხან ინტელიგენტებით, (რომლებსაც რატომღაც ძალა და მოქმედების სტიმულების სიმახვილე აკლდათ), ხან სოფლის მეოცნებე ადამიანებით დასახლებული ბელეტრისტიკისაკენ, არამედ ძლიერ ხასიათში გამოვლენილი ცხოვრების ფიზიზლად ხედვის პრინციპისაკენ.

ამ თვისებრიობით აღიბეჭდა გ. ფანჯიკიძის სამივე რომანი.

საქმე ის იყო, რომ 60-იანი წლების დასაწყისის „ლირიკული პროზა“ შეგნებული ოპოზიცია იყო უკვე კომპრომენტირებული, ე. წ. საწარმოო თემატიკით შემოფარგლული მწერლობისადმი.

და ეს იმიტომ, რომ, ძირითადად, ინდუსტრიულ და საკოლმეურნეო „საწარმოო რომანში“ ამოპირქვავდა საბედისწერო სიმპტომები, რომლებიც ადამიანის მიღმა არსებულ ფასეულობებზე ორიენტირებულ კულტურის სისტემას აღმოაჩნდა. ნათელი გახდა, რომ პროიკულმა იმპულსებმა და ემოციებმა, როდესაც ისინი პრაქტიკულად დაშორებული აღმოჩნდნენ ცხოვრებისა და ადამიანის რეალური ამოცანებისაგან — ამოწურეს თავისი შესაძლებლობები.

რ. ჭეიშვილის პაროდიულმა რომანმა „ჩემი მეგობარი ნოდარი“ კი საბოლოოდ დაუსვა წერტილი საწარმოო რომანის ინერციას.

მაგრამ თუ დრო ულმობლად აუქმებდა „საწარმოო რომანის“ სტანდარტებს, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ფაზაში შესული ცივილიზაცია არათუ არ აუქმებდა, — უფრო მასშტაბურს ხდიდა თავად წარმოებას. შესაბამისად, ადამიანისა და წარმოების ურთიერთმიმართება პიროვნების სოციალური, ეკონომიური, ფსიქოლოგიური და ღირებულებრივი ორიენტირების უმწვავეს პრობლემატიკის სახით იწყებდა მძვინვარებას. ეს იყო დროის მოთხოვნებით მოტანილი პრობლემა, რომელსაც ვერსად გაექცეოდა ეპოქის ამოცანებით მცხოვრები საზოგადოება.

ამავე დროს, სრულიად აშკარა იყო, რომ „საწარმოო რომანის“ პრაქტიკითა და გამოცდილებით ლიტერატურა ფონს ვერ გავიდოდა. ამიტომ, ნათელი გახდა, რომ საწარმოო თემა, როგორც სოციალური მოვლენა, როგორც ფაქტი, უფრო რთული, ტევადი და მრავალფეროვანი იყო, ვიდრე მათი ასახვის მოქალდური ცნებები, სტანდარტული ლოზუნგები და სტერეოტიპული ფორმები ლიტერატურაში.

მთელი სიმწვავით ზიმზიმებდა თემა, როგორც ლიტერატურული პრობლემა და არ ჩანდა შესატყვისი მხატვრული ფორმა...

ასეთ და ამგვარ პრობლემებზე რეაგირების გამძაფრებულ სიტუაციაში იშვა გ. ფანჯიკიძის პირველი რომანი „მეშვიდე ცა“.

რომ „მეშვიდე ცა“ არ იყო მხოლოდ ქართული სოციალური და ზნეობრივი ამოცანებით შეზღუდული რომანი, გაირკვა მაშინვე, როგორც კი საკავშირო მასშტაბით გაუჩნდნენ მომბაძველები, ხოლო მთავარ გმირს, ლევან ხიდაშელს — ტყუპისცალები.

გ. ფანჯიკიძის რომანის გავლენის ეფექტზე მეტყველებს 70-იანი წლების საბჭოთა დრამატურგია და თეატრი, რომლის სცენიდანაც დღემდე არ ჩამოსულან წარმოების „საქმიანი კაცის“ ლევან ხიდაშელისეული პროტოტიპები.

უნდა გვახსოვდეს, რომ ი. დვორეცკის „უცხო კაცი“, რომლის მთავარი გმირის ზეშკოვის და ხიდაშელის შესახებ კრიტიკაში პარალელურად მსჯელობდნენ ხოლმე, ექვსი წლის შემდგ შეიქმნა „მეშვიდე ცის“ დაწერიდან.

ქართულ კრიტიკაში გ. გვერდწითელის მიერ განხეთქილების ვაშლივით შემოგდებულმა კითხვამ „ვინ არის ლევან ხიდაშელი?“ — თითქმის მთელი საბჭოთა კრიტიკა მოიცვა.

გ. ფანჯიკიძის ამ რომანის შესახებ დიდძალი კრიტიკული ლიტერატურა შეიქმნა საქართველოს გარეთ. მის თაყვანისმცემელთა შორის იყვნენ: კ. სიმონოვი და გ. მარკოვი, ი. გრინბერგი და ვ. ლიპატოვი, ვ. სობკო, ვ. ოზეროვი და ა. შ.

რა იყო ამის მიზეზი?

ლევან ხიდაშელი იმდენად ზუსტად იყო ჩაწერილი სოციალურ გარემოში და ამდენადვე ზუსტად ამოხატული ტექნიკური ბაზის მექანიზმიდან, რომ მასში აიკრფა და შენივთდა თანამედროვე წარმოებისა და მისი მართვის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დონეზე მდგარი მოთხოვნები.

მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა, ისევე როგორც ამავე რომანში მოხაზული ცხოვრების ის ასპექტები, რომლებიც დღესაც

კრიტიკა ამაოდ ლამობდა ლევან ხიდაშელის ჩატენას ძველი საწარმოო ლიტერატურის „დადებითი და უარყოფითი“ გმირის ყალიბში.

ეს იყო პირველი და უტყუარი სიგნალი, რომ მწერალიც და მისი გმირიც ახალი ლიტერატურული ცნობიერების პირმშონი იყვნენ. „მეშვიდე ცამ“ უამრავი და თავსატეხი კითხვები ამოატივტივა სტერეოტიპულ ფორმულირებებს მიჩვეული კრიტიკის წინაშე.

დრომ უფრო ნათლად და გარკვეულად წარმოაჩინა ლევან ხიდაშელი, როგორც მხატვრული სახის დინამიკა, ისე მისი შექმნის ამოსავალი კონცეფციაც.

„მეშვიდე ცამ“ გ. ფანჯიკიძის ამოცანად იქცა გმირის „ქცევის სტერეოტიპის“ და მოქმედების მექანიზმის გამოაშკარავება. გმირის კეთილი და ბოროტი, დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები აქ მეორადია. და ეს იმიტომ, რომ „ქცევის სტერეოტიპს“ განსაზღვრავს არა სიკეთე და ბოროტება, არამედ დასახული მიზნისაკენ პიროვნების ლტოლვის ლოგიკა და თანმიმდევრობის ჩარისხი. გ. ფანჯიკიძემ ეს პრინციპი აქცია ლევან ხიდაშელის თვითდაგეგმვის სტიმულებში შეღწევისა და მისი პროგოციერების გზად.

სამართლიანობა მოითხოვს თქვას, რომ 60-ანი წლების ლიტერატურულ კონტექსტში ეს იყო თვისებრივად ახალი და გარკვეული აზრით, მოულოდნელი კონცეფციაც.

ეს მომენტი კიდევ უფრო საგულისხმო გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანის მიმქედების სტიმულებში გარკვევის ამგვარი მეთოდოლოგია საგანგებო მეცნიერული დაკვირვების სანად იქცევა მხოლოდ 70-იან წლებში და ისიც, ეთნოგენეზის სფეროში მიმდინარე ძიებებთან დაკავშირებით.

რასაც კრიტიკოსები მწერლობაში ძლიერ ხასიათს ვუწოდებთ, აქ კიდევ უფრო გამკვეთრებული მახასიათებლებით იქნა კვალიფიცირებული, როგორც პასიონალური პიროვნების კონცეფცია.

პასიონარად იწოდება პიროვნება, რომლის მოქმედების ხასიათში თვითდაკვიდრებისა და გადარჩენის ინსტინქტს სჭარბობს რეალური ან ილუზორული მიზნის მიღწევის სტიმული. ამგვარი პიროვნების მოქმედება სცილდება წუთიერი კმაყოფილების მაძიებელთა ვნებათა ღელვას და მიმართულია გარე სინამდვილის გარდაქმნისაკენ. მათ ამგვარობაში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ნებელობას, არამედ შინაგანი წყობის თავისებურებას. ასეთ დონეზე პიროვნების შინაგანი მობილიზება მხოლოდ თვითდაგეგმვის პრინციპს დაქვემდებარებულ ცხოვრებაში ვლინდება. თვითდამგეგმი ინდივიდი კი, ამისდა მიხედვით თუ რაზეა ის ორიენტირებული, უკვე სუბიექტური მითის ლოგიკით ცხოვრობს. ის უკვე შინაგან დემონთან გაფიცული და სისხლით ხელშეკრულებაგაფორმებული პიროვნებაა, რომლის სახარულისა და ბედნიერების საზომი მხოლოდ ის აჩემებული პროგრამაა, რომლისკენაც მიისწრაფვის.

რომანის ძირითად ლაიტმოტივს კი თავად ავტორი აუწყებდა მკითხველს „მეშვიდე ცის“ წინათქმაში: „კაცი ვერასოდეს ვერ იგრძნობს თავს ბედნიერად, თუ მისი ცხოვრება და საქმიანობა ადამიანების სიყვარულით არ არის გაჟღენთილიო“...

რაკი „მეშვიდე ცის“ მგორის ბედნიერება რომ ეგრძნო „ცხოვრებასა და საქმიანობაში“ აკლდა ადამიანების სიყვარული, თითქოს მკითხველის გულისწადილს საპასუხოდ დაიბადა. გ. ფანჯიკიძის მეორე რომანი „თვალი პატიოსანი“, რომლის გმირების ცხოვრებისეულ დრამად სწორედ იმის სიჭარბე იქცეოდა, რის დეფიციტსაც „მეშვიდე ცის“ გმირი განიცდიდა.

„თვალი პატიოსანი“ 1970 წლის „ცისკრის“ მეთორმეტე და 1971 წლის პირველ ნომრებში გამოქვეყნდა. რომანი სენსაციურ ბესტსელერად იქცა. მას გამოქვეყნების დღიდანვე გაუჩნდნენ გულწრფელი ქომაგებიც და დაუძინებელი მტრებიც.

ეს კი იმის მაუწყებელი იყო, რომ რომანი შეიცავდა რაღაც ისეთს, რის მიმართაც შეუძლებელი იყო მკითხველის გულგრილად დარჩენა.

ამ რომანის მომხრეებმა მიიჩნიეს რომ „გ. ფანჯიკიძე „თვალი პატიოსანში“ გაიზარდა როგორც მხატვარი და განახორციელა შემობრუნება ამ ოთხმოცი გრადუსით“ (გ. მიტინი). მოწინააღმდეგეებმა კი ჩათვალეს, რომ „თვალი პატიოსანში“ შეიმჩნევა ჟურნალისტური სტილის მოძალება და ჩვენი ცხოვრებისათვის არაორგანული ჩრდილოვანი მხარეებისადმი იმგვარი ინტერესი, რაც ენებს რომანის მხატვრულ ეფექტს.

მკითხველები კი განაგრძობდნენ „ცისკრის“ ხმარებისაგან დაფლეთილი ფურცლების რესტავრაციას, ამრავლებდნენ რომანის ცალკეულ პასაჟებს და მართავდნენ დისპუტებს.

ეს უკვე მწერლის გამარჯვება იყო...

მწერალს კი ცხოვრების სიმართლისათვის თვალის გასწორების ცდა ლამის ანტისახელმწიფოებრივ აქციად ჩაუთვალეს. ბრჭყალი გამოჰყო „სიფხიზლის სადარაჯოზე“ მდგარმა ცრუკრიტიკამ.

მახსოვს: სწორედ ასეთ სიტუაციაში, მწერალთა კავშირის ტრიბუნიდან „თვალი პატიოსანის“ სახეების სისტემით აღტაცებულმა დემნა შენგელაიამ ბრძანა, რომ „ყაზბეგის შემდეგ მამაკაცური მეგობრობის უფრო ამაღლებული პასაჟები აღარ შემხვედრიაო“. ოპოზიცია კი

ზრდიდა ცოდნით და პირადი მაგალითით

ამ ოციოდე წლის წინათ, სიცოცხლის ბოლომდე, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის გამგე, ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი და მისი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო, უფრო ადრეკი, დიდი სამამული ომის დროს, ჩვენი რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი. ყველას, ვინც მას იცნობდა, ცხადად წარმოუდგება განათლების თვალსაჩინო ორგანიზატორის, სწავლა-აღზრდის რთული პრაქტიკული გზების გამკვალავის დაუვიწყარი, ხათელი სახე. თავისი ცხოვრებით მან წარუშლელი კვალი დატოვა სახალხო განათლების ორგანიზაციის, პედაგოგიური კადრების აღზრდისა და პედაგოგიკის მეცნიერების განვითარების დარგში. მოღვაწეობის ყველა უბანზე ამ უაღრესად პრინციპული და კრისტალური ადამიანის დაუშრეტელი ენერგია ახალგაზრდული ძალით ჩქეფდა და მუდამ ხალხის საკეთილდღეოდ მიიმართებოდა. აღზრდის დიდი სოციალური მნიშვნელობის შეგნება და ამ საქმის უმწიკლო სამსახურში ყოფნა გ. კიკნაძის მთელ ცხოვრებას ორმა შინაარსის და სასიკეთო ზემოქმედების ძალას ანიჭებდა.

გ. კიკნაძე 1902 წელს დაიბადა ორჯონიკიძის რაიონის სოფელ საღანძლეში. მამა იმავე წელს გარდაეცვალა და მისი აღზრდა მთლიანად დედას, ნინო მაჭავარიანს დაეკისრა. ხარაგაულის სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ხაშურში განაგრძო ჰუმანიტარულ ტექნიკუმში.

მერე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, მოსკოვის კომუნისტური ინსტიტუტის ასპირანტურაში გაიგზავნა. 1937 წელს იქვე დაიცვა დისერტაცია პედაგოგიკის მეცნიერების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

იმ წელს გ. კიკნაძეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ ნიშნავენ. მალე სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაჰყავთ რექტორის თანამდებობაზე, ერთი წლის შემდეგ კი უკვე განათლების სახალხო კომისარია.

ასე იწყება გ. კიკნაძის უაღრესად ფართო და შინაარსიანი მოღვაწეობა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო განათლებისა და კულტურის ასპარეზზე. ამ დიდად საპასუხისმგებლო დარგში მას მუშაობა მოუხდა დიდი სამამული ომის წლებშიც, როცა განსაკუთრებით რთული ვითარება ხელმძღვანელი მუშაკისაგან მოითხოვდა მთელი გონებრივი და სულიერი ძალების დაძაბვას. გ. კიკნაძემ ბრწყინვალედ გაართვა თავი მძიმე გმოცდას. ყველასთვის თვალსაჩინო გახდა განათლების კომისრის იდეურ-პოლიტიკური, მეცნიერულ-მეთოდიკური და ორგანიზატორული მუშაობის დიდი უნარი. საქმის წარმატებით განხორციელებაში ორმა ცოდნასთან და პროფესიონალიზმთან ერთად მას დიდად უწყობდა ხელს გაწაოლების დარგის ხელმძღვანელისთვის აუცილებელი მნიშვნელოვანი თვისებები — შინაგანი კულტურა, პედაგოგიური ტაქტი, სიდარბაისლე და სულგრძელობა. ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის დროს ის, უთუოდ, ითვალისწინებდა პარტიული მუშაკების, მეცნიერების, პრაქტიკოსი მასწავლებლების მოსაზრებებსა და გამოცდილებას. ეს უადვილებდა მიზნის სწორად განჭვრეტას, სკოლის პრაქტიკაში მხოლოდ დასაბუთებული, პროგრესული სიახლეების დანერგვას.

ასევე ნაყოფიერი იყო გ. კიკნაძის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე განაგებდა პედაგოგიკის კათედრას. მეცნიერმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა თავისი შესანიშნავი ლექციებით, რომელიც იტაცებდა სტუდენტობას, აყვარებდა საგანს და მასწავლებლის პროფესიას. თავისი ლექციებით, რომლებიც გამოირჩეოდა იდეურ-პოლიტიკური და მეცნიერული სიღრმით, მასალის ლოგიკური წყობითა და გადმოცემის მიმზიდველი ფორმით, იგი ასპირანტებსა და ახალგაზრდა ლექტორებს მაგალითს უჩვენებდა იმისას, თუ რა პასუხისმგებლობით უნდა მზადდებოდეს ლექცია მისი დიდი სასწავლო-აღმზრდელობითი დანიშნულების გამართლებისათვის.

გ. კიკნაძემ დიდი ორგანიზატორული ნიჭის წყალობით კათედრა პედაგოგიური აზრისა და მასწავლებელთა კადრების მომზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად აქცია.

მისი ხელმძღვანელობით კათედრაზე გაჩაღდა პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის ძირითადი პრობლემების დამუშავება, რაც ათობით გამოქვეყნებულ შრომაში აისახა. პირადად მის კალამს ეკუთვნის 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი ისეთ პრობლემებზე, როგორიც არის კომუნისტური მორალით მოსწავლეთა აღზრდა, ქართული საბჭოთა სკოლის ისტორია, ქართული, რუსული და უცხოური პედაგოგიური აზრის ისტორია.

განსაკუთრებით გამოირჩევა გ. კიკნაძის შრომები კომუნისტური მორალის აღზრდის საკითხებზე. ეს ნაშრომები საუკეთესო დამხმარე სახელმძღვანელოებია ყოველდღიურ მუშაობაში როგორც პედაგოგიკის ლექტორების, ისე საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს გამოკვლევები: „კომუნისტური მორალის აღზრდის ძირითადი საკითხები“, „კომუნისტური მორალის აღზრდის საფუძვლები“, „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საკითხები“, „მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა“. მეცნიერმა პედაგოგიური ლიტერატურა საგულისხმო ნაშრომებით გაამდიდრა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარვმართოთ მოსწავლის ხასიათისა და ნებისყოფის ჩამოყალიბების პროცესი, რას გულისხმობს ჰუმანიზმისა და კაცურაკცობის აღზრდა.

ზნეობრივი აღზრდის თემაზე შექმნილი მისი მონოგრაფიები და სტატიები განმარტავენ და კონკრეტულად გამოხატავენ ვ. ი. ლენინის უკვდავ ფუძემდებლურ მითითებას იმის შესახებ, რომ განთლებისა და სწავლების მთელი საქმეა მოსწავლეში კომუნისტური მორალის აღზრდა.

პროფესორ გ. კიკნაძის სამეცნიერო- პედაგოგიურ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უკავია მონოგრაფიებსა და სტატიებს პედაგოგიური აზრისა და სკოლის ისტორიის საკითხებზე.

სწავლულმა ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ქართული საბჭოთა სკოლის ისტორიის გამოკვლევა. მისი ნაშრომი „ნარკვევები სკოლის ისტორიიდან საქართველოში 1921-28 წ. წ.“ პირველი მონოგრაფიაა ამ დარგში, რომელშიც თანამიმდევრულად არის განხილული ახალი სკოლის ჩამოყალიბების რთული პროცესი.

გ. კიკნაძე ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ მუშაობას. მრავალჯერ იყო არჩეული ხელმძღვანელ, პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში. იგი დიდხანს წინამძღვრობდა უნივერსიტეტის პედაგოგიურ საზოგადოებას, იყო მშობლთა უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე.

შესანიშნავ პედაგოგსა და მოქალაქეს კარგად ესმოდა, რომ აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის მუშაკის წარმატება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ თვითონ რამდენად ცხოვრობს და იღვწის იმ მოძღვრების შესაბამისად, რომელსაც ნერგავს. ამ მხრივაც იგი ნამდვილად რომ სამაგალითო პიროვნება გახლდათ.

განათლების, კულტურისა და მეცნიერების სარბიელზე ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის გ. კიკნაძე დაჯილდოებული იყო ორი შრომის წოლილი დროშის ორდენით, „სპატიო ნიშნის“ ორდენით და მრავალი მედლით. ჩვენი რესპუბლიკის სახალხო განათლების ისტორია თამობათა კუთვნილებად მიიჩნევს განათლების, სწავლებისა და აღზრდის თეორიისა და პრაქტიკაში შეტანილ მის ფასდაუდებელ წვლილს.

ვ. კოტახიძე,
პროფესორი,
ი. ჭკუასელი,
დოცენტი.

ჭადრაკის დაფებთან

ესპანეთის ქალაქ **ალიკანტეში**, სადაც მსოფლიო პირველობაზე პრეტენდენტთა მეოთხეფინალური მატჩები მიმდინარეობს, გათამაშდა მეშვიდე პარტიები. ზოლტან რიბლიმ (უნგრეთი) შეხვედრა წაადო ეუგენიო ტორესთან (ფილიპინები) და ახლა ანგარიშია 4:3 რიბლის სასარგებლოდ. ნანა ალექსანდრიამ (სსრ კავშირი) ტატიანა ლემაჩკოსთან (შვეიცარია) გადადებული პარტიის დამთავრებისას 53-ე სვლაზე დროს გადააცილა და დამარცხდა. კვლავ წინ არის ალექსანდრია — 4,5:2,5. რეგლამენტით გუშინ უნდა გამართულიყო ამ მოჭადრაკეთა მერვე პარტია. იმისათვის, რომ მატჩი მოიგოს, ნანა ალექსანდრიამ დარჩენილ სამ პარტიაში 1 ქულა მაინც უნდა მოიპოვოს. **ფელდენში** (ავსტრია) დამთავრდა ვასილ სმისლოვისა (სსრ კავშირი) და რობერტ ჰიუბნერის (გფრ) მეოთხეფინალური მატჩი, მას შემდეგ რაც მეოთხმეტე პარტიაში ყაიმი აღინიშნა. საბოლოო ანგარიშია 7:7 და გამარჯვებულის ვინაობა უნდა გაარკვიოს წოლისყრამ.

იაროსლავლში გრძელდება ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი შეჯიბრება. მეცხრე ტურში თბილისელმა გია გიორგაძემ თავისი პარტია გადასდო. გადადებული პარტიების დამთავრების წინ სალოვს 6,5 ქულა ჰქონდა, ნაუმკინს — 5, გიორგაძეს — 4,5 ქულა და 2 გადადებული პარტია.

მოსკოვში გათამაშდა მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) მეთორმეტე ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. ბალაშოვმა დაამარცხა აგზამოვი, ვაპანიანმა — ბელიავსკი, პოლუგაევსკიმ — რომანიშინი, კარპოვმა — ფილიპენერი, აგზამოვმა — ფსახისი, აზმაიფარაშვილმა — ბალაშოვი, რაზუვაევმა — პეტროსიანი, მალანიუკმა — ბელიავსკი. დაბოლოს რაზუვაევ-აზმაიფარაშვილი, ლერნერ-მალანიუკი, იუსუპოვ-ფსახისი, მალანიუკ-ვაპანიანი. არ გათამაშებულა აგზამოვ-იუსუპოვის და აგზამოვ-აზმაიფარაშვილის გადადებული პარტიები. 11 შესაძლებლიდან 7 ქულით ლიდერობს კარპოვი. მომდევნო ადგილებზე არიან: პოლუგაევსკი — 6,5 ქულა (10 შესაძლებლიდან) ფსახისი — 6,5 (12-დან), ტუკმაკოვი და ბალაშოვი — 6-6 (11-11-დან) ვაპანიანი — 5,5 (10-დან), მალანიუკი — 5,5 (11-დან), აზმაიფარაშვილი — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია (11-დან), ბელიავსკი და რაზუვაევი — 5-5 (10-10-დან), რომანიშინი — 5 (11-დან), პეტროსიანი — 4,5 (10-დან), აგზამოვი — 4 ქულა და 2 გადადებული პარტია (10-დან), გელერი — 4 (10-დან), იუსუპოვი — 3,5 და 1 გადადებული პარტია (10-დან), ლერნერი— 3 (10-დან).

თბილისში გაიმართა „დინამოს“ საკავშირო X სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრების მეხუთე ტური. საქართველოს გუნდი ბელორუსიის წარმომადგენლებს შეხვდა. ზაიჩკმა იუფეროვთან გაიმარჯვა, უბილავა ყაიმზე შეუთანხმდა ბასინს, ხოლო არახამიამ წააგო გოლუბევასთან. გუფელდის პარტია ნეკრასოვთან დაუთავრებელი დარჩა. ჯერჯერობით ანგარიში თანაბარია — 1,5:1,5. 5 ტურის შემდეგ წინ არის სომხეთის გუნდი — 13,5 ქულა და 3 გადადებული პარტია. 11,5 ქულით და 6 გადადებული პარტიით მეორე ადგილზე არიან მოსკოველები. საქართველოს გუნდს 9,5 ქულა და 5 გადადებული პარტია აქვს.

ეს ჩვენ, ცოცხლებს გვჭირდება

23-24 აპრილი — ნათესაკვებისა და ახლობლების ხსოვნის დღე

საქართველო ძველი კულტურის ქვეყანაა. ტრადიციებიც ძირძველი აქვს. საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა, ყალიბდებოდა, იხვეწებოდა და ვითარდებოდა ეს ტრადიციები. როცა ხანი გამოხდებოდა, ზოგი მათგანი ძაბს მოილევდა, თავის მნიშვნელობას დაკარგავდა და ისტორიის ასპარეზიდან გავიდოდა. ქართველი კაცი ოდითგანვე ყველაფერს გონების თვალით უყურებდა, და ამიტომაც ხანგასული, ხანდაზმული ტრადიციების ნაცვლად თანადროულს, ძამისა და ვითარების შესაფერისს ამკვიდრებდა.

ასეა დღესაც.

დროგარდასული ტრადიციების მაგვარად ვაფუძნებთ ახალ, ჩვენი დღევანდელობის არსისა და მიზანსწრაფვის გამომხატველ წესსა და რიგს.

სულ ახლახან ჩვენი საზოგადოებრიობა მოწონებით შეხვდა გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ საბჭოთა კავშირის გმირის მელიტონ ქანთარიას წერილს „რაც დავიწყებით არ იბინდება“, შემდეგ კი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომ დაწესდეს **ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის ერთიანი დღე, რომელიც მოეწყობა წლიურად 23-24 აპრილს, მომავალში კი აღინიშნება ყოველწლიურად — აპრილის მესამე კვირის შაბათ-კვირას.**

ახალ თაოსნობას ფართოდ დაუჭირეს მხარი და გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. ბევრი მათგანი თავს ვალად რაცხს მოგვწეროს, დაგვირეკოს, შეგვატყობინოს თავისი აზრი და განწყობილება. ისინი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ამ ქვეყნიდან წასული ადამიანების ხსოვნის ნათელი მოგვიწოდებს დავეთანხმოთ, ერთობლივი თანადგომა გამოვუცხადოთ ამ სასიკეთო, მეტად მნიშვნელოვან, ღრმა ადამიანური აზრითა და გრძნობით გამსქვალულ წამოწყებას.

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაეჩნდების

სტრიქონები სარედაქციო ფოსტიდან

ჩვენი გზეთის ფურცლებზე რუბრიკით „ეს ჩვენ, ცოცხლებს გვჭირდება“ სისტემატურად ქვეყნდება წერილები, რომლებშიც გამოხატული სულისკვეთება ნათლად ადასტურებს იმ საერთო განწყობილებას, რასაც ყველა ჩვენთაგანის გულში დაუგია ბინა.

სარედაქციო ფოსტა ყოველდღიურად ახალ-ახალი გამოხმაურებით ივსება...

„ახლა მე ნამდვილად გამიჭირდება, — გვწერს **ბორჯომიდან შ. აბრამიშვილი,** — ასე ერთბაშად თავი მოვუყარო ყველა სიტყვას ჩემი განწყობილების მთელი სისრულით გადმოსაცემად. მართლაც, რამდენ სიკეთეს დასაჩინო გახდა განათლების კომისრის იდეურ-პოლიტიკური, მეცნიერულ-მეთოდიკური და ორგანიზატორული მუშაობის დიდი უნარი. საქმის წარმატებით განხორციელებაში ორმა ცოდნასთან და პროფესიონალიზმთან ერთად მას დიდად უწყობდა ხელს გაწაოლების დარგის ხელმძღვანელისთვის აუცილებელი მნიშვნელოვანი თვისებები — შინაგანი კულტურა, პედაგოგიური ტაქტი, სიდარბაისლე და სულგრძელობა. ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის დროს ის, უთუოდ, ითვალისწინებდა პარტიული მუშაკების, მეცნიერების, პრაქტიკოსი მასწავლებლების მოსაზრებებსა და გამოცდილებას. ეს უადვილებდა მიზნის სწორად განჭვრეტას, სკოლის პრაქტიკაში მხოლოდ დასაბუთებული, პროგრესული სიახლეების დანერგვას.

ასევე ნაყოფიერი იყო გ. კიკნაძის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე განაგებდა პედაგოგიკის კათედრას. მეცნიერმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა თავისი შესანიშნავი ლექციებით, რომელიც იტაცებდა სტუდენტობას, აყვარებდა საგანს და მასწავლებლის პროფესიას. თავისი ლექციებით, რომლებიც გამოირჩეოდა იდეურ-პოლიტიკური და მეცნიერული სიღრმით, მასალის ლოგიკური წყობითა და გადმოცემის მიმზიდველი ფორმით, იგი ასპირანტებსა და ახალგაზრდა ლექტორებს მაგალითს უჩვენებდა იმისას, თუ რა პასუხისმგებლობით უნდა მზადდებოდეს ლექცია მისი დიდი სასწავლო-აღმზრდელობითი დანიშნულების გამართლებისათვის.

გ. კიკნაძემ დიდი ორგანიზატორული ნიჭის წყალობით კათედრა პედაგოგიური აზრისა და მასწავლებელთა კადრების მომზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად აქცია.

მისი ხელმძღვანელობით კათედრაზე გაჩაღდა პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის ძირითადი პრობლემების დამუშავება, რაც ათობით გამოქვეყნებულ შრომაში აისახა. პირადად მის კალამს ეკუთვნის 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი ისეთ პრობლემებზე, როგორიც არის კომუნისტური მორალით მოსწავლეთა აღზრდა, ქართული საბჭოთა სკოლის ისტორია, ქართული, რუსული და უცხოური პედაგოგიური აზრის ისტორია.

ზრდიდა ცოდნით და პირადი მაგალითით

„ახლა მე ნამდვილად გამიჭირდება, — გვწერს **ბორჯომიდან შ. აბრამიშვილი,** — ასე ერთბაშად თავი მოვუყარო ყველა სიტყვას ჩემი განწყობილების მთელი სისრულით გადმოსაცემად. მართლაც, რამდენ სიკეთეს დასაჩინო გახდა განათლების კომისრის იდეურ-პოლიტიკური, მეცნიერულ-მეთოდიკური და ორგანიზატორული მუშაობის დიდი უნარი. საქმის წარმატებით განხორციელებაში ორმა ცოდნასთან და პროფესიონალიზმთან ერთად მას დიდად უწყობდა ხელს გაწაოლების დარგის ხელმძღვანელისთვის აუცილებელი მნიშვნელოვანი თვისებები — შინაგანი კულტურა, პედაგოგიური ტაქტი, სიდარბაისლე და სულგრძელობა. ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის დროს ის, უთუოდ, ითვალისწინებდა პარტიული მუშაკების, მეცნიერების, პრაქტიკოსი მასწავლებლების მოსაზრებებსა და გამოცდილებას. ეს უადვილებდა მიზნის სწორად განჭვრეტას, სკოლის პრაქტიკაში მხოლოდ დასაბუთებული, პროგრესული სიახლეების დანერგვას.

ასევე ნაყოფიერი იყო გ. კიკნაძის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე განაგებდა პედაგოგიკის კათედრას. მეცნიერმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა თავისი შესანიშნავი ლექციებით, რომელიც იტაცებდა სტუდენტობას, აყვარებდა საგანს და მასწავლებლის პროფესიას. თავისი ლექციებით, რომლებიც გამოირჩეოდა იდეურ-პოლიტიკური და მეცნიერული სიღრმით, მასალის ლოგიკური წყობითა და გადმოცემის მიმზიდველი ფორმით, იგი ასპირანტებსა და ახალგაზრდა ლექტორებს მაგალითს უჩვენებდა იმისას, თუ რა პასუხისმგებლობით უნდა მზადდებოდეს ლექცია მისი დიდი სასწავლო-აღმზრდელობითი დანიშნულების გამართლებისათვის.

გ. კიკნაძემ დიდი ორგანიზატორული ნიჭის წყალობით კათედრა პედაგოგიური აზრისა და მასწავლებელთა კადრების მომზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად აქცია.

მისი ხელმძღვანელობით კათედრაზე გაჩაღდა პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის ძირითადი პრობლემების დამუშავება, რაც ათობით გამოქვეყნებულ შრომაში აისახა. პირადად მის კალამს ეკუთვნის 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი ისეთ პრობლემებზე, როგორიც არის კომუნისტური მორალით მოსწავლეთა აღზრდა, ქართული საბჭოთა სკოლის ისტორია, ქართული, რუსული და უცხოური პედაგოგიური აზრის ისტორია.

მხატვრის ქვირეული

ინტერესით ეცნობიან

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გახსნილია მხატვარ რევაზ ადამიას ნამუშევრების გამოფენა.

დამთვალიერებლები ინტერესით ეცნობიან მხატვრის მიერ ამ უკანასკნელ წლებში შექმნილ პორტრეტებს, ჟანრულ ტილოებს, პეიზაჟებს.

რ. ადამიას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი სოფლის თემას. ამ მხრივ საინტერესოა ნამუშევრები: „ჩემი სოფელი“, „მეგრული ფაცხა“, „ძველი კოლხეთი“, „მწყემსის კარ-მიდამო“, „მძინარე კოლხი ქალი“, „მარტვილის ეკლესია“ და სხვ. პორტრეტებიდან კი აღსანიშნავია ლადო გუდიაშვილის, თამარ ციციშვილის, ოთარ მეღვინეთ-უხუცესის, შოთა ნიშნიანიძისა და სხვათა პორტრეტები.

თემის სიღრმისეული წვდომით, თვითმყოფობით გამოირჩევა რ. ადამიას ყოველი ნამუშევარი. გამოფენა თვის ბოლომდე გასტანს.

ნ. ლეთოდიანი.

სურათებზე: რ. ადამიას ნამუშევრები „მწყემსის კარმიდამო“ და „ქალიშვილის პორტრეტი“.

ღია კარის სტუმრები

ტრადიციულად გაიღო რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრების მარგალიტა და შოთა მეტრეველების სახელოსნოს კარი სახვითი ხელოვნების მოყვარულთათვის. ეს პირველი გაზაფხულია, როცა „ღია კარის“ სტუმრებს დედა-შვილთან — მარგალიტა და მერაბთან ერთად მამა—შოთა მეტრეველი ვერ მასპინძლობს. იგი წლეულს ვეღარ შეესწრო მშვენიერ „ივრიკას“.

სახელოსნოს ორი კედელი შოთა მეტრეველის ნამშეკრებს აქვს დათმობილი, ორ კედელზე კი მარგალიტა მეტრეველის ტილოებია გამოფენილი. მათს შემოქმედებას ბევრი რამ აქვს საერთო. ისინი ერთად მოგზაურობდნენ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში, აკეთებდნენ ჩანახატებს, ერთ სახელოსნოში ქმნიდნენ ტილოებს, ერთად აწყობდნენ გამოფენებს. სულ 63-მდე გამოფენა აქვთ მოწყობილი სხვადასხვა სწარმოებში, სკოლებში, დაწესებულებებში. ბოლო წლებში მათ ვაჟიც — ახალგაზრდა მოქანდაკე მერაბიც შეუერთდა. სახელოსნოში მრავლად არის მისი ნამუშევრებიც.

სახელოსნოში თანამედროვე ქართული სოფლის სურათები ჭარბობს. სისადავით, გულწრფელად არის ასახული სოფლის ყოფა, ლამაზი ბუნების პეიზაჟები, ნატურმორტები, რეალისტური ფერწერის მანერით შესრულებული წარმოების მოწინავეებისა თუ ხელოვნების წარმომადგენელთა პორტრეტები.

აი შოთა მეტრეველის ცნობილი სურათები: „ვანო სარაჯიშვილის უკანასკნელი „თავო ჩემო“, „ალაგერდობა“, „წვიმიანი დღე“, „მოულოდნელი შეშფოთება“, „პუშკინი ალ. ჭავჭავაძესთან“. მნახველები დიდხანს ჩერდებიან მის უკანასკნელ ნამუშევრებთან „ავტოპორტრეტი“ და „სიცოცხლე გრძელდება“. მის ნამუშევრებში იგრძნობა ფორმის ძიება, მძლავრობს სიკეთის საწყისები.

ღია, გამჭვირვალე ნაზი ფერები ჭარბობს მარგალიტა მეტრეველის პეიზაჟებში „ზამთრის ღამე“, „წვიმიანი შემოდგომა“, „სამგორის გაზაფხული“.

მნახველთა ყურადღებას იქცევს მერაბ მეტრეველის ქანდაკებები: „გაზაფხული“, „ჰაგანინი“, „უსინათლო მუსიკოსი“, „ვანთიადის წინამორბედი“.

სტუმრები არ ელევა სახელოსნოს, მოწყვლელან, სტუდენტები, საწარმო-დაწესებულებებიდან წვეულნი გულწრფელ ჩანაწერებს ტოვებენ შთაბეჭდილებათა ალბომში (**„კომუნისტის“ კორ.**).

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გახსნილია მხატვარ რევაზ ადამიას ნამუშევრების გამოფენა.

დამთვალიერებლები ინტერესით ეცნობიან მხატვრის მიერ ამ უკანასკნელ წლებში შექმნილ

მეშვიდე ტურის წინ

უმაღლესი ლიგის ფეხბურთველთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეექვსე ტურის რვა შეხვედრის შედეგები ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. გთავაზობთ კიდევ ერთ შედეგს: მოსკოვის „დინამო“-„სპარტაკი“ — 0:0. მორიგი, მეშვიდე ტურის შეხვედრები 29-30 აპრილს გაიმართება. დღეისათვის კი გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„არარატი“	6	5	0	1	9-4	10
„ტორპედო“ (მ)	6	4	2	0	9-3	10
„ზენიტი“	6	3	2	1	9-4	8
„ჩერნომორ.“	5	3	1	1	6-4	7
„შახტიორი“	6	3	1	2	7-7	7
„ცალგირისი“	6	2	3	1	3-2	7
„დინამო“ (თბ)	6	2	2	2	7-5	6
„მეტალისტი“	5	2	2	1	6-4	6
„ფახთაქორი“	6	2	2	2	7-7	6
„დნეპრი“	6	2	2	2	7-8	6
„დინამო“ (მნ)	6	2	2	2	6-8	6
„დინამო“ (მ)	5	2	1	2	4-2	5
„დინამო“ (კ)	5	2	0	3	3-5	4
„სპარტაკი“	5	1	2	2	8-5	4
„ნეფთჩი“	6	1	2	3	5-6	4
ცსკა	6	1	2	3	3-6	4
„ტორპედო“ (ქ)	6	0	1	5	4-11	1
„ნისტრუ“	5	0	1	4	4-16	1

სატურნირო ორბიტა

ჰოკეი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გრძელდება ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები. გთავაზობთ მესამე ტურის შედეგებს: **19 აპრილი. დორტმუნდი.** გდრ-იტალია — 3:1, კანადა-სსრ კავშირი — 2:8; **დიუსელდორფი.** ჩეხოსლოვაკია-შვეიცარია — 4:1, გფრ-ფინეთი — 4:3.

მოვიდლოსნობა. ნეაპოლში დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ქალთა შორის უძლიერესი იყო მოსკოველი ნ. ბუტუზოვა — 1298 ქულა, მეორე ადგილზე გამოვიდა ნოვოკახოველი ლ. არტანკოვა — 1256, მესამეზე — დუშანბელი ზ. რუსტამოვა — 1251. ვაჟებში იმარჯვა ჩიტელმა ვ. ეშეევმა — 1293 ქულა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ტ. კვიკი და მ. ნორდლანდერი (ორივე — შვეიცარია შესაბამისად 1265 და 1250 ქულა).

ვოლოსპორტი. ქვემო საქსონიასა (გფრ) და მაროკოს გზებზე დამთავრდა საერთაშორისო მრავალდღიანი ველოსრბოლები. ქვემო საქსონიაში უძლიერესის წოდება მოიპოვა რიგელმა დაინის ლიეპინშმა, მაროკოში კი ანდრეას პეტერმანმა (გდრ).

„საბჭოთა ხელოვნება“ № 4

გამოვიდა ყურნალ საბჭოთა ხელოვნების მორიგი მეოთხე ნომერი. იგი იხსნება მოწინავე წერილით „კიდევ უფრო დაცარაზმთ, კიდევ უფრო განვამტკიცოთ დისციპლინა“. რუბრიკით — „დისკუსია, მუსიკა და მსმენელი“ დაბეჭდილია შ. მშველიძის წერილი „რა უნდა გამოსწორდეს“.

„ერთი როლის მეტაფორა“ — ასე ეწოდება დ. ანდრიასოვის წერილს, რომელიც თ. ჭილაძის დრამატურგიას ეხება. გაერთიანება „დებიუტის“ ნაწარმოებებს კრიტიკულად მიმოიხილავს კინომცოდნე ი. კუპუხიძე, ს. ცინცაძის ბალეტ „რივარესზე“ და მის მუსიკაზე კითხველებს ესაუბრება გ. ტორაძე.

ყურნალში გამოქვეყნებულია აგრეთვე ნ. არველაძის წერილი „გარემოების საყვირი“, ლ. დონაძის „ვიქტორ დოლიძის შემოქმედება“, ე. სანადირაძის „მამია ახობაძის ხელოვნების პოეზია“, ლ. ბატკინის „ლეონარდო მიქელანჯელოსთან შეპირისპირებით“, გ. ხუხაშვილის „ჯაყოს ხიზნები“ მოსკვინის ქუჩაზე, თ. კვირკველიას „დასავლეთის ხუროთმოძღვრება გზაჯვარედინზე“ და სხვა საინტერესო წერილები ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე.

სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?

როსტოვის სამშენებლო სამმართველოს „სპეცბეტონმშენის“ რუსთაველის უბნის მშრომელები ხშირად ხედავდნენ, თუ როგორ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს ა. ვ. კერვალიძე და ვ. მ. მურშუდოვი. ერთი შეხედვით, ამაში არაფერი უჩვეულო არ იყო. ა. კერვალიძეხომ ამ უბნის უფროსია, ვ. მურშუდოვი კი ოსტატი. მაგრამ, ალბათ, სწორედ ამ „საუბრების“ დროს მოილაპარაკეს უფროსმა და ოსტატმა, თუ როგორ გაეტაცათ ცეცხლგამძლე აგური საწარმოდან. მათ 39 ათასი აგური მოიპარეს და მიჰყიდეს „მშენტრანსის“ რუსთაველ № 3 ავტობაზის მძღოლს გივკაზ გაჯი ოღლი ადურაამანოვს.

39 ათასი აგურის ერთი მანქანით გატანა შეუძლებელია. ამიტომ გ. ადდურაჰმანოვს დაეხმარნენ № 3 ავტობაზის მძღოლები გ. ჯიქიძე, ნ. კუპრიანოვი, ი. ქერიმოვი, ს. არაქელოვი და მ. ლომსაძე. მანქანები დატვირთეს და კოლონა გზას გაუდგა, მაგრამ მოკლე გამოდგა ეს გზა: რუსთაველის სპეციალიზაციისა და სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის საქალაქო განყოფილების მუშაკებმა დააკავეს ბოროტმოქმედნი.

დამნაშავეები მიეცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მათ მიმართ მართლმსაჯულება თავის სიტყვას იტყვის, მაგრამ ისმება კითხვა, როგორ მოხდა, რომ „სპეცბეტონმშენის“ ხელმძღვანელთა შორის აღმოჩნდნენ პირები, რომლებსაც შეეძლოთ დანაშაული ჩაედინათ? ალბათ, უნდა ვკითხოთ № 3 ავტობაზის ხელმძღვანელებსაც: რატომ გახდა შესაძლებელი, რომ სამუშაო საათებში მძღოლები სამუშაოზე არ იყვნენ? რატომ იყვნენ უკონ